8 მარტს – ქალთა დღეს გილოცავთ, მშვენიერო მანდილოსნებო!


# საქართველოს რესპუბლიკა

კვირა, 7 მარტი, 2004 წელი

№55 (4784)


მორიგე რედაქტორი

## სიმბოლური კვირეული

მსოფლიოში არ მოიძებნება სხვა რომელიმე ქვეყანა, სადაც 3 მარტს დედის დღეს აღნიშნავენ, შემდეგ თითქმის მთელი კვირის მანძილზე ზეიმობენ, 8 მარტს კი ქალთა დღით აგვირგვინებენ.

ასეთი ქვეყანა მხოლოდ საქართველოა.

და ამ ქვეყანაში არსებობს სიმბოლური კვირეული:

ვიწყებთ, თუმცა, რატომ – „ვიწყებთ“, განვაგრძობთ 3 მარტით და ვასრულებთ, არა, რატომ – „ვასრულებთ“, კვლავ განვაგრძობთ 8 მარტით.

რადგან ყოველი დღე მათია – დედების, შეყვარებულების, მეუღლეების, მაგრამ ამ კვირეულს მაინც სხვა ხიბლი აქვს. ამ კვირის იუბილარ ქალბატონებსაც განსაკუთრებით ვულოცავთ.

ამ კვირაში უჩვეულოდ შევიგრძნობთ, რომ ჩვენი კაცობა და ნამუსი მათ ხელშია და, რა განსაკუთრებული სიმაღლეებიც უნდა დავიპყროთ, ჩვენს ღირსებას, უპირველესად, განსაზღვრავს ჩვენი დამოკიდებულება მანდილოსნებთან.

არ მინდოდა პათეტიკურად გამომსვლოდა, მაინც ვერ ავცდი.

ამიტომ, მოკლედ ვიტყვი – გილოცავთ, ძვირფასებო!..

ხელისუფლება და ბიზნესი

## მიხეილ სააკაშვილი საგადასახადო წესრიგის დასამყარებლად მკვეთრ ნაბიჯებს დგამს

– ჩვენ საქართველოში რეალურად დავამყარებთ წესრიგს და ნურავინ იფიქრებს, რომ ამ ბრძოლაში მე ერთი წუთითაც კი დავიხევ უკან, – ამ სიტყვებით მიმართა გუშინ კინოთეატრ „ამირანში“ შეკრებილ ბიზნესმენებს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა.



პრეზიდენტმა განაცხადა, რომ საქართველოში იყო კასტა ადამიანებისა, არც ბიზნესმენებისა და არც სახელმწიფო მოხელეებისა, რომლებიც იტაცებდნენ ხალხს, კონკურენტებს უმტვრევდნენ ცხვირ-პირს, ფეხით ულებდნენ მინისტრებს კარს, ნიშნავდნენ და ხსნიდნენ საგადასახადოსა თუ საბაჟო სამსახურების უფროსებს. ზოგიერთი, არ გამოვრიცხავ, უარეს დანაშაულსაც სჩადიოდა.

იხ. მე-2 გვ.

თვალსაწიერი

## მხოლოდ მტკივნეული პროცესი არ არის, უღმერთობაც არის

თუ ჩვენი პრეზიდენტის ქვეყნის გარეთ, კერძოდ, ბაქოში წარმატებულ ვიზიტს არ ჩავთვლით, რომლის დროსაც გადაწყდა, რომ სულ რაღაც წელიწადნახევარში აზერბაიჯან-საქართველოს შორის ყოველგვარი საბაჟო გამყოფი ხაზი მოიხსნება, რაც ნავთობისა თუ ბადრიჯნის კონტრაბანდის საჭიროებას აღკვეთს, თანაც ახალგაზრდა პრეზიდენტები სააკაშვილი და ალიევი ისე დამეგობრდნენ, რომ ერთმანეთს შენობით მიმართავენ, შინაურ საქმეებში თავმოსაწონებელი და სადღეგრძელოში სათქმელი მაინცდამაინც არაფერი მომხდარა.

ისე კი, არასაანშლაგოდ, სწორედაც რომ ბევრი რამ მოხდა.

ჯერ იყო და ლამის მთელი სამეგრელო-ზემო სვანეთის უშიშროების რეგიონული სამმართველო დააპატიმრეს და თბილისში წამოასხეს.

რა თქმა უნდა, ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც წესი და რიგია: თბილისიდან ჩავიდა სპეცრაზმი ნიღბებით, ხელბორკილებით, ავტომატებით, ერთი სიტყვით, სრული ეკიპირებით და რეგიონული სამმართველოს თანამშრომლები, რომლებმაც დაუმორჩილებლობა გამოაცხადეს სამმართველოს ხელმძღვანელის სამსახურიდან გათავისუფლების გამო, კედელთან მიაყენა: ხელები ზევით, ფეხები განზე, არ დამემორჩილები, გესვრი...

მოკლედ, ისე იმარჯვეს, რომ მთელი ზუგდიდი ააფორიაქეს და გადარიეს...

ქუთაისის ოპერაციაზე სიტყვას არ გავაგრძელებ, იქ იყო მსხვერპლი.

ახლა შევაჯამოთ მთელი ეს კრიმინალური მოსავალი.

რა თქმა უნდა, სამეგრელო-ზემო სვანეთის უშიშროების რეგიონული სამმართველოს ოფიცრებს დაუმორჩილებლობისა და გაფიცვის უფლება არ ჰქონდათ. ეს გასამხედროებული უწყებაა, სამხედროები კი ბრძანებებს არ ასაჩივრებენ, მას ასრულებენ. მაგრამ ეს, ალბათ, არ ნიშნავს, მათ ისევე მოექცე, როგორც ჩვეულებრივ ბოროტმოქმედთ.

იხ. მე-2 გვ.

ადამიანი დროში

## საქართველოს პირველი ლედი: ჩემი ჰობია გაჭირვებულთა დახმარება

8 მარტის დღესასწაულის წინ „ბი-ბი-სის“ თბილისელი კორესპონდენტი ქეთი ბოჭორიშვილი შეხვდა საქართველოს პირველ ლედის, ჰოლანდიელ სანდრა რულოვს-სააკაშვილს. სანდრა განათლებით ლინგვისტია, იგი ასწავლის ბიზნესის სკოლაში და აქტიურად ეწევა საქველმოქმედო საქმიანობას.

იხ. მე-3 გვ.



დაინტერესებული საუბარი.

ჯემალ კასრაძის ფოტო.

გიხაროდენ!

## რა ყოფილა შვილიშვილი

ძვირფასო რედაქცია, თქვენი გაზეთის კითხვას ყოველთვის იმ მშვენიერი რუბრიკით ვიწყებ, „გიხაროდენ“ რომ ჰქვია. ვხარობ, საქართველოს პატარა მოქალაქეების დაბადების გამო. ახლა კი, 4 მარტს მეც გამიჩნდა თქვენთვის მოსახარებელი ამბავი, – ჩემს ვაჟს გულბაათ ელიზბარაშვილსა და რძალს თეონა ანდრიაძეს პირველი შვილი, ბიჭი შეეძინათ, – ჩემი სეხნია და ჩემი პირველი შვილიშვილი. შვილი ხომ ბედნიერება იყო, შვილიშვილი კიდევ, ზებედნიერება ყოფილა.



პირველ შვილს ვულოცავ ჩემს თეონას და გულბაათს, იმრავლონ, იხარონ, ბედნიერ მშობლობას ვუსურვებ.

ირაკლი ელიზბარაშვილი,

თბილისი.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

ინტერპანორამა

ისრაელმა ჯარისკაცებმა იორდანეს დასავლეთ ნაპირზე მოკლეს პალესტინელი პოლიციელი, 19 წლის ტახერ აბუ სარიე, რომელსაც პისტოლეტი ჰქონდა და მის გამოყენებას აპირებდა პატრულის წინააღმდეგ.



ღაზის სექტორის ჩრდილოეთით, საკონტროლო-გამშვებ პუნქტთან მომხდარი მძლავრი აფეთქების შედეგად დაიღუპა და დაიჭრა რამდენიმე პალესტინელი.



უსამა ბენ ლადენმა შეძლო ალყისთვის თავის დაღწევა, – ასეთი განცხადება გააკეთა ავღანეთის მთავრობის წარმომადგენელმა. მისი თქმით, ბენ ლადენი ახლა გამწარებული ეძებს საიმედო თავშესაფარს და ამიტომაც მოითხოვა მოძრაობა „თალიბანის“ გადარჩენილი ხელმძღვანელების სხდომის სასწრაფოდ მოწვევა.



გარდაიცვალა დედამიწის უხუცესი მცხოვრები – 114 წლის ჟოან რუიდავეტსი. იგი გინესის რეკორდების წიგნში შარშან, 1 ოქტომბერს შეიყვანეს, მას შემდეგ, რაც აღესრულა იაპონელი იუკიში ჩუგანი, რომელიც ესპანელზე 9 თვით ადრე დაიბადა.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 55, კვირა, 7 მარტი, 2004 წელი.

## ხელისუფლება და ბიზნესი

# მიხეილ სააკაშვილი საგადასახადო წესრიგის დასამყარებლად მკვეთრ ნაბიჯებს დგამს

(პირველი გვერდიდან)

ასეთი ხალხის ადგილი საქართველოში აღარ არის, რადგან, სადაც ისინი არიან, ჩვეულებრივი ადამიანებისთვის იქ ადგილი აღარ რჩება. ამიტომ თქვენი დახმარებით ყველაფერს გავაკეთებ მათი თავგასულობისა და განუკითხაობის აღსაკვეთად, რათა ჩვეულებრივ ადამიანებს არ მოუწამლონ ცხოვრება, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

— ჩვენ, — თქვა პრეზიდენტმა, — არ ვუწევთ ანგარიშს იმას, ვინ რომელ პარტიაში შევიდა, დაგვიმეგობრდა და, თავის ჭკუით, დაგვიდო ხელშეკრულება. გული გამისკდა, როდესაც გაზეთი გადავშალე და წავიკითხე, რომ ბონდო შალიკიანი არის ნაციონალური მოძრაობის წევრი. ასე გაუსკდა გული ქუთაისის მოსახლეობის ოთხმოცდაათ პროცენტს. შე დალოცვილო, თუ თავი დაანებე ქურდობასა და ბანდიტობას, გამოსწორდი, რაშიც ეჭვი მეპარება, პოლიტიკაში მაინც რაღას მიძვრები, აკეთე წყნარად შენი ბიზნესი. ამათ ჯერ კიდევ ჰგონიათ, რომ დეპუტატობა ინდულგენცია და ხელშეუხებლობის მანდატია. დასრულდა ეს დრო. ხვალ-ზეგ დავიბარებ ჩვენი სიით პარლამენტის არჩევნებში მონაწილე ყველა დეპუტატობის კანდიდატს და ვეტყვი: ან პირველსავე დღეს მოაწერენ ხელს სადეპუტატო იმუნიტეტის მოხსნის საკითხს, ან უსიტყვოდ ამოვიღებ ამ სიიდან.

იქვე მიხეილ სააკაშვილი შეეხო დაპატიმრების იმ მეთოდს, რასაც ხშირად მიმართავენ ჩვენი სამართალდამცავები, და აღნიშნა, რომ მერაბ ადეიშვილის დაპატიმრება და ამ ოპერაციაში სპეცრაზმის გამოყენება მიზანშეწონილი არ იყო, რომ ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს. თუმცა, როცა შეიარაღებულ ხალხთან გვექნება საქმე, იარაღის გამოყენებას არ მოვერიდებით, რადგან ამის მორალური უფლებაც გვაქვს და ამას კანონიც გვავალდებულებს. მეტიც, ხელისუფლება სერიოზულად ზრუნავს სამართალდამცველი სტრუქტურების სათანადო ტექნიკითა და საშუალებებით აღჭურვისათვის, რათა ქვეყანაში არ დაირღვეს ადამიანის უფლებები, მოქალაქეები დაცულად გრძნობდნენ თავს, ხოლო ყაჩაღებსა და გამომძალველებს გარეთ თავის გამოყოფისა ეშინოდეთ.

საქართველოს პრეზიდენტმა ისაუბრა იმაზეც, რომ საქართველომ „ვარდების რევოლუციის“ შედეგად გაიკეთა უზარმაზარი რეკლამა, ახლა ამას უნდა გონივრულად გამოყენება. რას ვაკეთებთ საამისოდ? პირველი, რასაც ჩვენ მსოფლიოს ვეუბნებით, საქართველოში იქნება უსაფრთხოების ბევრად უკეთესი გარემო, რომ აქ ბიზნესმენებს აღარ მოიტაცებენ, მაქსიმალურად აღმოიფხვრება კორუფცია და ქვეყანაში შეიქმნება მომგებიანი საინვესტიციო გარემო. ამასთან ერთად, — თქვა მან, — ჩვენ გვყავს ძალიან საინტერესო, ძლიერი, მათ შორის, საერთაშორისო გამოცდილების ბიზნესმენები. ამ ხალხს უნდა შეექმნას მუშაობის პირობები.

საერთაშორისო გარემოს შექმნა ამ საქმისათვის მნიშვნელოვანი ასპექტია. აზერბაიჯანში ყოფნის პერიოდში მე ველაპარაკე ილჰამ ალიევს, რომ აზერბაიჯანი და საქართველო ეს არის ერთიანი ეკონომიკური სივრცე. მართალია, აზერბაიჯანი დინამიურად მზარდი ბაზარია, მაგრამ მას სჭირდება საქართველო, საკომუნიკაციო სივრცე, შავ ზღვაზე გასასვლელი, ამასთან, აზერბაიჯანელები ქართველების მიმართ უაღრესად კეთილგანწყობილნი არიან და ამასაც უნდა გამოყენება.

— მე, — თქვა საქართველოს პრეზიდენტმა, — აზერბაიჯანის პრეზიდენტს შევთავაზე, შევქმნათ სამთავრობო კომისია იმისთვის, რათა ორი წლის თავზე საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის აღარ იყოს საბაჟო ბარიერები და ეკონომიკური საზღვრები, შევქმნათ ერთიანი ეკონომიკური სივრცე, რადგან სხვაგვარად ჩვენი ქვეყნები კარგად ვერ განვითარდება.

ჩვენ სომხებთანაც უნდა შევძლოთ ანალოგიური ურთიერთობების დამყარება, რადგან საქართველო სომხეთისთვის არის ფანჯარა გარესამყაროსთან, რაც ასევე უნდა გამოვიყენოთ.

საქართველოს შეუძლია შექმნას ერთიანი კავკასიური ბაზარი.

საქართველოს პრეზიდენტმა ისაუბრა რუსეთთან ურთიერთობაზე და თქვა, რომ იგი საგანგებოდ ემზადებოდა და ნერვიულობდა პუტინთან შეხვედრის წინ. ასევე ნერვიულობდა პუტინიც. ისინიც ემზადებოდნენ, ესაუბრნენ ყველას, ვისთანაც ოდესმე მქონია ურთიერთობა, როგორი ვარ, როგორ უნდა მელაპარაკონ. ძირითადად კი იყო განცდა, რომ მე ვარ აგრესიული და არაპროგნოზირებადი. ყოველივე ამის მიუხედავად, ჩვენს შორის საუბარი ოთხსაათნახევარი გაგრძელდა, მათ შორის, სამსაათნახევარი — პირისპირ. ეს იყო საქმიანი შეხვედრა, შევეხეთ ძალიან ბევრ საკითხს. სხვათა შორის, მან ბევრი რამ ძალზე სხვაგვარად დაინახა და ამ საუბარს მოჰყვა ის, რომ მესამე დღეს გამოაგზავნეს რამდენიმე ასეული მანქანა გორში და მიმდებარე რაიონებში პროდუქციის გასატანად. ეს, მართალია, პატარა დეტალია, მაგრამ უკვე მაქსიმუმ ორ თვეში შევეცდებით, ამაზე ვმუშაობთ, გავამარტივოთ სავიზო რეჟიმი და მოვაგვაროთ სხვა საკითხები. რუსებთან ურთიერთობის მოგვარება არის უზარმაზარი საქმე. მარტო თქვენ კი არა, ყველა უცხოელი გვეკითხება, როგორი ურთიერთობა გვაქვს რუსეთთან, არის თუ არა მზად საქართველო გახდეს ბაზა რუსეთის ბაზარზე გასასვლელად, ჩვენ უნდა მოვიპოვოთ ეს პრივილეგია.

რუსი ბიზნესმენები, ოლიგარქები დაინტერესებულნი არიან საქართველოში ინვესტიციის შემოტანით, მათ ნოსტალგია აქვთ საქართველოს მიმართ. ახალგაზრდებს ახსოვთ საქართველო, ზოგს კურორტებით, ზოგსაც ჩვენი სტუმართმოყვარეობით და ქართველებთან ურთიერთობით. ჩვენ გვაქვს უნარი, რომ ყველა მოვხიბლოთ. მაგრამ საერთოდ ვერ ვიყენებთ რუსეთის შესაძლებლობას. კვიპროსში, რომელიც ბევრად უფრო შორს არის რუსეთიდან, ვიდრე საქართველო, საოცარი პირობები შექმნეს რუსული ინვესტიციების მოსაზიდად. ჩვენ, კვიპროსთან შედარებით, ასჯერ უკეთესი პირობები გვაქვს, გვესმის ერთმანეთის ენა, ჩვენს შორის ძალზე ფართოა კულტურული და ადამიანური კავშირები, მაგრამ არსებობს პოლიტიკური ფაქტორი, რომლის მოხსნას მე მაქსიმალურად შევეცდები, თუმცა არა პრინციპული დათმობების ხარჯზე.

არსებობს ბევრი საკითხი, სადაც ჩვენ საერთო ენის გამონახვა შეგვიძლია. წინა პარლამენტმა, როგორც იცით, მიიღო დადგენილება, სანამ რუსეთი აფხაზეთს არ დაგვიბრუნებს, არ შევუშვათ რუსეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში. ჯერ ერთი, როგორ უნდა შეუშალოს პატარა საქართველომ ხელი, თუ გადაწყვეტენ დიდი სახელმწიფოები, რომ რუსეთი შევიდეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში?! ეს ხომ სასაცილოა. და მეორეც, განა ჩვენს ინტერესებში არ არის, რომ რუსეთი მოქმედებდეს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმით და არ გვიქმნიდეს ხელოვნურ ბარიერებს? რა თვითბლოკადის პოლიტიკაა ეს?! აი, ასეთი რაღაცეები აღიზიანებთ მათ. მეორეს მხრივ, ჩვენ მივიღეთ მყარი გარანტიები და, იმედია, ამას შეასრულებს რუსეთი, რომ საქართველოს შიდა საქმეებში, განსაკუთრებით რეგიონებსა და ცენტრს შორის ურთიერთობებში, შიდა პოლიტიკურ მოვლენებში რუსეთი აღარ ჩაერევა. ეს არის ძალზე მნიშვნელოვანი შეთანხმება.

საქართველოს პრეზიდენტმა ქართველ ბიზნესმენებთან შეხვედრაზე ისაუბრა თურქეთში მომავალ ვიზიტზეც, მათ მზადყოფნაზე, შემოიტანონ საქართველოში დიდი ინვესტიციები.



მიხეილ სააკაშვილმა ყურადღება გაამახვილა ბიზნესმენებისათვის მისაღები საგადასახადო გარემოს შექმნაზე, მათთვის საერთაშორისო პროექტებში ჩართვის ხელშეწყობაზე, რომ საქართველოს საგადასახადო სისტემა ძალიან გართულებულია, უნდა შეიცვალოს და გამარტივდეს. უკვე შექმნილია საგადასახადო პოლიცია, სადაც ხალხის შერჩევა განსაკუთრებული კრიტერიუმებით ხდება, მათ ექნებათ დიდი ხელფასი და უმიზეზოდ არავის შეაწუხებენ.

იმ თამაშის წესები, რომლებიც აქამდე არსებობდა ქვეყანაში და ბიზნესმენებს გადასახადის დამალვასა და ქრთამის გადახდას აიძულებდა, შეიცვლება.

პრეზიდენტის განცხადებით, მეწარმეები დამნაშავენი არ არიან, რომ იმ ფულის ნაწილი, რომელსაც ისინი სახელმწიფოს არ უხდიდნენ, ჩინოვნიკების ჯიბეში მიდიოდა და სწორედ ამ ფულს იხდიან ახლა, რათა წინასწარი პატიმრობიდან თავი დაიხსნან.

— ხელისუფლებამ გადაწყვიტა, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა, — რადგან ჩვენი ბიზნესმენები სახელმწიფოსგან დადგენილი იმ თამაშის წესებით იძულებულნი იყვნენ შეგნებულად დაემალათ გადასახადი, თუ ეს თანხა არ აჭარბებს მილიონ ლარს, მათ საერთოდ არ შევეხოთ. ასეთ ბიზნესმენთა რაოდენობა ოთხმოცდაათ პროცენტზე მეტია, დანარჩენები შეავსებენ დეკლარაციებს და ამ გადასახადის ათ პროცენტს წლის ბოლომდე გადაიხდიან, ხოლო დანარჩენი თანხის თხუთმეტწლიანი რესტრუქტურიზაცია განხორციელდება.

ეს არ კეთდება ფისკალური ეფექტის მოსახდენად, არამედ სახელმწიფოს სურს არაფორმალური ბიზნეს-სექტორის ლეგალიზაცია.

მიხეილ სააკაშვილმა დარბაზში შეკრებილ ბიზნესმენებს სთხოვა, ვიდრე ახალი საგადასახადო კოდექსი შეიქმნება, მისი მიღება კი ივნისის დასაწყისისთვისაა დაგეგმილი, სრულად გადაიხადონ გადასახადები, რათა მოსახლეობას, რომელიც უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობს, შეუმსუბუქდეს ცხოვრება.

ერთი რამ მინდა იცოდეთ, — მიმართა მან შეკრებილთ, — მე ვარ თქვენი ადვოკატი და ამას სხვაზე ნაკლებად არ შევძლებ. ჩვენ ერთი მიზანი გვაქვს: გვინდა დინამიური, ოპტიმისტური, ეფექტიანი სახელმწიფოს შექმნა, რომელსაც აქვს პერსპექტივა, სადაც ყველა ადამიანი დაცული იქნება. ასეთია ახალი საქართველოს მოდელი.

ბიზნესმენებს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გააცნო კანონპროექტის ზოგიერთი დეტალი. მაგალითად, ის, რომ ამ კანონით შეღავათები არ შეეხებათ მათ, ვის მიმართაც უკვე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. იგი ასევე არ შეეხება სახელმწიფო მოხელეებს, სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებს.

ბიზნესმენმა ბადრი პატარკაციშვილმა თავიდანვე მსუბუქად უსაყვედურა პრემიერ-მინისტრს, რომ იგი მასთან ღია ურთიერთობას კულუარულს ამჯობინებს, თუმცა მასთან კარგი ურთიერთობა აქვს და ხშირად კამათობენ ქვეყნისათვის საჭირბოროტო საკითხების თაობაზე.

მან ასევე შენიშნა, რომ ის მეთოდები, რასაც ჩვენი სამართალდამცავები არცთუ იშვიათად იყენებენ ამა თუ იმ პირის დაკავებისას, არ აქვს მნიშვნელობა, ვინ არის იგი, უარყოფითად მოქმედებს ჩვენი ქვეყნის ავტორიტეტზე.

ბიზნესმენებთან შეხვედრა დასრულდა. მეწარმეებმა ხელშეუხებლობის გარანტიები მიიღეს.

რა იქნება ხვალ? დაველოდოთ.

**შოთა მაჭარაშვილი.**

### ინფორმაცია თემაში

**საარჩევნო ბლოკი „მემარჯვენე ოპოზიცია — მრეწველები, ახლები“ მიესალმება საქართველოს პრეზიდენტის მიერ მეწარმეებთან გუშინდელ შეხვედრაზე გაკეთებულ განცხადებებს და მიაჩნია, რომ მან კერძო საკუთრებასთან და ბიზნესთან მიმართებაში სრულიად ახალი მიდგომა დააფიქსირა.**

**„ახლების“ ლიდერმა დავით გამყრელიძემ განაცხადა, რომ არ შეიძლება, ძველი და კორუმპირებული კანონმდებლობის გამო მეწარმეობა ტერორის ქვეშ მოექცეს, რომ აუცილებელია გამარტივებული საგადასახადო სისტემის შემოღება, რომ კერძო საკუთრება ხელშეუხებელია და, რომ შიდა და გარე ინვესტირების განსახორციელებლად აუცილებელია ბიზნეს გარემოს კარდინალური შეცვლა“.**

## თვალსაწიერი

# მხოლოდ მტკივნეული პროცესი არ არის, უღმერთობაც არის

(პირველი გვერდიდან)

უშიშროება, გარდა ამისა, რომ გასამხედროებული უწყებაა, გასაიდუმლოებულიც არის (ყოველ შემთხვევაში, აქამდე ასე იყო). ჰოდა, ბევრად უკეთესი იქნებოდა, ყველაფერი უხმაუროდ მოეგვარებინათ და მთელი ზუგდიდი სკასავით არ აფორიაქებულიყო. მით უფრო, რომ როგორც ირკვევა, მხოლოდ ორიოდ კაცს მოუწევს მართლმსაჯულების წინაშე წარდგომა.

სხვათა შორის, ზუგდიდელებს გაფიცულთა დასჯაზე კი არ აქვთ გართულება, არამედ დაკავების ამ ხმაურიან და ზარიან-ზათქიან ფორმაზე.

ახლა ქუთაისი. სპეცოპერაციის დროს კრიმინალური სამყაროს არაერთი წარმომადგენელი დააკავეს, დიდძალი იარაღი ამოიღეს, მაგრამ ეს მისასალმებელი ფაქტი დაჩრდილა ლოგინიდან წამოგდებული, ნახევრად შიშველი შალიკიანის ხილვამ, თუმცა ამ კაცზე იმდენ ძვირს ამბობენ, მესამედიც რომ იყოს მართალი, ციხიდან ცხვირი ვერ უნდა გამოყოს.

ამასობაში ცუდად მიდის საქმე აჭარაში. დღე არ გავა, იქ რაიმე ექსცესი არ მოხდეს. ჯერ იყო და თბილისიდან შინ დაბრუნებული აჭარელი კმარელები ჩოლოქის საზღვარზე არ გაატარეს. მერე „უცნობმა პირებმა“ „რუსთავი-2“-ის კორესპონდენტი სცემეს უღმერთოდ.

საერთოდ აჭარაში ჟურნალისტების მიმართ ფიზიკური ანგარისწორება მტკიცე ტრადიციად დამკვიდრდა. მარტო ბოლო თვეებში ათამდე პრესის მუშაკი სცემეს, და ისეთი პირი უჩანს, ალბათ ბევრს კიდევ სცემენ 28 მარტის არჩევნების მოახლოების კვალობაზე.

მკითხველმა უკვე იცის, რომ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აჭარის ავტონომიის მეთაურს დავალება მისცა: 10 დღის ვადაში გამოიძიეთ ჟურნალისტის ცემის ფაქტი და ყველა პირი, ვისაც ბრალი მიუძღვის, პასუხისგებაში მიეცითო.

რას მოიმოქმედებს ბატონი ასლან აბაშიძე პრეზიდენტის დავალების შესასრულებლად, ჯერ უცნობია. ვითომ „ვერ გაიგონას“ მიმართავს? ყოველ შემთხვევაში, როდესაც მან მოსკოვში რუსი ჟურნალისტებით დახუნძლულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ცენტრალური ხელისუფლება გაუგონარ ვერაგობას აპირებს, კერძოდ, სურს ავტონომიაზე თავისი კონტროლი დააწესოს და პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მკაცრად გამოეხმაურა ამ ნათქვამს, დიახაც, ვაპირებ ჩემი კონტროლის დაწესებას ავტონომიის ტერიტორიაზე, ეს ჩემს პირდაპირ მოვალეობად მიმაჩნიაო, ავტონომიის მეთაურს, ჯერჯერობით, კომენტარი არ გაუკეთებია. რაც შეეხება ასევე მოსკოვში მის მიერ გაცხადებულს, „აღორძინებამ“ შეიძლება მონაწილეობა არ მიიღოს პარლამენტის არჩევნებშიო, ბათუმში დაბრუნების შემდეგ განმარტა, ჩემი ნათქვამი ჟურნალისტებმა დაამახინჯეს, „აღორძინება“ არჩევნებში მონაწილეობას მიიღებსო. ისე რომ, ახლა სიტყვა აჭარის მეთაურზეა.

ახლა საარჩევნო პრობლემებზე. 28 მარტის მოახლოებასთან ერთად თანდათან ფერმკრთალდება 7-პროცენტიანი ბარიერის 5 პროცენტამდე ჩამოწევის იმედი (კონსტიტუციის მოთხოვნის შესაბამისად, ამ დაწევის განსახორციელებლად 1 თვე მაინც არის საჭირო, ეს ერთი თვე კი აღარ დარჩა). 7-პროცენტიანი ბარიერით, დიდი შანსია, რომ ერთპარტიული პარლამენტი გვყავდეს (ჰა და ჰა, „მრეწველები“—„მემარჯვენეები“ გადაახტნენ საკუთარ თავს და ამ უკუღმართ ბარიერს). ამიტომ მონოლითურ პარლამენტში ოპოზიციის გაჩენის ერთადერთ გზად „ნაციონალები-დემოკრატების“ პოზიციად და ოპოზიციად გახლეჩვის ვარაუდი რჩება. თუ საპარლამენტოდ პარტიული სიის შედგენის დროს „ბურჯანაძე-დემოკრატებში“ წარმოქმნილ უთანხმოებასა და კრიზისს გავითვალისწინებთ, ეს მოლოდინი შეიძლება არცთუ უსაფუძვლო იყოს. ისე კი, როცა პარტიაში ოპოზიციური განხეთქილება ხდება, ეს თავისთავად ძალიან მავნე პროცესია, ამას არასდროს არც ერთი პარტიისთვის სიკეთე არ მოუტანია.

რაც შეეხება ჩვენი რეფორმატორი გუნდური მთავრობის მოღვაწეობას, განსაკუთრებით კარგად მას, ჯერჯერობით, სახელმწიფო სამსახურიდან ხალხის მასობრივი დათხოვნა გამოსდის. თითქმის ყველა სფეროში იგეგმება სერიოზული შემცირება, გარეთ გაყრილ ხალხზე კი არავინ ფიქრობს. რევოლუციის შემდეგ არენაზე გამოსული ახალგაზრდები ძველ, გამოცდილ კადრებს ერეკებიან. ჩანაცვლება მტკივნეულად და გაუგებრად, ხანდახან არაპროფესიული კადრებით მიმდინარეობს.

ჩვენს ისედაც მძიმე დროში კი ადამიანებით მანიპულირება მხოლოდ მტკივნეული პროცესი არ არის, უღმერთობაც არის.

**ალეკო ასლანიშვილი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ადამიანი დროში

# საქართველოს პირველი ლედი: ჩემი ჰობია გაჭირვებულთა დახმარება

(პირველი გვერდიდან)

**— თავდაპირველად, მსურს მოგილოცოთ დედის დღე. თქვენს სამშობლოში, ჰოლანდიაში არის რაიმე მსგავსი დღესასწაული?**

— დიახ, იგი აღინიშნება მაისში. რა თქმა უნდა, ეს დღესასწაული უფრო მეტად უყვართ დედებს, ვიდრე შვილებს, რადგან ჩვენში იმ დღეს დედებს, ჩვეულებრივ, ჩუქნიან პატარ-პატარა ნახატებსა და ლექსებს, ეს კი ყოველთვის სასიამოვნოა. ჩვენ კი, დედებს, ასევე გვსურს რაიმეთი ვასიამოვნოთ ამ დღეს ჩვენი შვილები. ჩემს ვაჟს ყურადღებას ისედაც არ ვაკლებ, მაგრამ ამ დღეს, ჩვენ აუცილებლად ერთად ვატარებთ ხოლმე — დავდივართ კინოში ან ზოოპარკში.

**— თქვენ ხართ ჰოლანდიელი დედა რვა წლის ედუარდისა, რომელსაც ქართული გვარი აქვს — სააკაშვილი. თქვენში ეს რაიმე განსაკუთრებულ ემოციებს ხომ არ იწვევს?**

— ედუარდს ძალიან უყვარს საქართველო, მას თავის სამშობლოდ მიიჩნევს და მე ვამაყობ ამით. შემიძლია ვთქვა, რომ იგი ნამდვილი ქართველი ბიჭია. თუმცა, ჰოლანდიაშიც უყვარს ჩასვლა, ბაბუასთან და ბებიასთან, იქ მას მეგობრებიც ჰყავს.

**— ოდესმე თუ უწინასწარმეტყველებიათ თქვენთვის, რომ პირველი ლედი გახდებოდით?**

— ამ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, პრაქტიკულად, ყველა მხოლოდ ამაზე მელაპარაკებოდა. ამბობდნენ, რომ მიშა უნდა გახდეს პრეზიდენტი და გახდება კიდეც, რომ იგი შეძლებს ქვეყნის ფეხზე დაყენებასო, და მეც თანდათანობით შევეგუე ამ აზრს, რადგან თვითონაც მწამს მიშასი და მისი შესაძლებლობების.

**— თქვენ ცდილობთ დაეხმაროთ ქმარს? იგი ყურად იღებს ხოლმე თქვენს რჩევებს?**

— პოლიტიკურ საკითხებში — არა. ყოველივე ეს საკმაოდ რთულია. არსებობს ისეთი პრობლემები, რომლებშიც ძალზე კომპეტენტური უნდა იყო, ან, თუნდაც საჭიროა დაიბადო და იცხოვრო ქვეყანაში, რათა ყოველივე ამაში გაერკვე. უბრალოდ, მე ხშირად მიწევს სამუშაო მოგზაურობა საქართველოს ამა თუ იმ კუთხეში, შემდეგ კი მიშა მეკითხება ჩემი შთაბეჭდილებების შესახებ, და მეც ვუყვები, თუ როგორ ადამიანებს ვხვდები, რა პრობლემები აქვთ მათ. იგი არასდროს არ ტოვებს ამას უყურადღებოდ.

**— რას საქმიანობთ საქართველოში? ჩვეულებრივ, პირველი ლედი ქველმოქმედებას ეწევა ხოლმე.**

— მეც არ ვარ გამონაკლისი. თითქმის უკვე ექვსი წელია, ვმუშაობ საქველმოქმედო ფონდში, ახლა ჩვენ ფონდის საქმიანობა გადაგვაქვს რეგიონებში. გვეხმარებიან ჰოლანდიის, ბელგიის, გერმანიის მთავრობები იმ რამდენიმე პროექტის განხორციელებაში, რომლებზეც ვმუშაობთ საქართველოში.

მოხარული ვარ, რომ შემიძლია დავეხმარო მარტოხელა და გაჭირვებულ ადამიანებს, და ამას მთელი სულითა და გულით ვაკეთებ. თუ შეიძლება ითქვას, ეს ჩემი პირველი ჰობია.

ამ ცოტა ხნის წინათ დავბრუნდი ქუთაისიდან, სადაც ვიმყოფებოდი შიდსით, ტუბერკულოზით დაავადებულებისა და ფსიქიკური გადახრების მქონე ადამიანების დისკრიმინაციის წინააღმდეგ გამიზნული პროექტის „ანტისტიგმის“ ფარგლებში. ერთი კვირის შემდეგ თელავში გავემგზავრებით. ჩვენ ვცდილობთ ასეთ ადამიანებს გავუწიოთ არა მარტო მატერიალური დახმარება, არამედ, ვთქვათ, უზრუნველვყოთ ობოლი ბავშვები სასკოლო სახელმძღვანელოებით ან ტანსაცმლით, გაჭირვებული მარტოხელა მოხუცები კი — უფასო კვებით. ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ეს ხალხი არ გრძნობდეს თავს იზოლირებულად საზოგადოებისაგან.

ჩვენ ახლა ვიწყებთ ახალი პროექტის განხორციელებას ჭიათურაში. ტოტალური უმუშევრობის გარდა, იქ ძალზე არახელსაყრელი ეკოლოგიური სიტუაციაც შეიქმნა. ჭიათურაში წინათ მოიპოვებდნენ მანგანუმის მადანს და ამან მავნე გავლენა მოახდინა არაერთი თაობის მამაკაცების ჯანმრთელობაზე. ჭიათურაში, სადაც ვაპირებთ გავხსნათ ჩვენი ოფისის პირველი ფილიალი, განვახორციელებთ ინვალიდების, მარტოხელა მოხუცებისა და ბავშვებისათვის დახმარების გაწევის კიდევ რამდენიმე პროექტს.

**— თქვენ სპეციალობით ლინგვისტი ხართ. პროფესიით აღარ მუშაობთ?**

— რატომაც არა. ვასწავლი ფრანგულ ენას კავკასიის ბიზნესის სკოლაში და ეს დიდ სიამოვნებას მანიჭებს. ჯერ ერთი, ვაკეთებ ჩემს საქმეს, მეორეც — ურთიერთობა მაქვს ახალგაზრდა სტუდენტებთან, ეს კი მეც მიხანგრძლივებს ახალგაზრდობას, რადგან მარტო მე ხომ არ ვასწავლი მათ, ამ ახალგაზრდებისგანაც ბევრ რამეს ვსწავლობ. მათ ეშინოდათ, რომ აღარ ვიქნებოდი მათი დოცენტი მას შემდეგ, რაც პირველი ლედი გავხდებოდი, თუმცა ახლა ყველა დამშვიდდა.

**— გავრცელებულია ლეგენდები იმაზე, რომ თქვენ უამრავ ენას ფლობთ, მათ შორის — მეგრულსა და სვანურსაც...**

— ეს ხმები ძალზე გაზვიადებულია. მეგრული ენა ჩემთვის მეშვიდე ენა იქნება — მხოლოდ ახლა ვსწავლობ მეგრულს. რაც შეეხება სვანურს, არ ვიცი, ამას მომავალი გვიჩვენებს. ისე კი, მშობლიური ენის — ჰოლანდიურის გარდა, ვფლობ ინგლისურს, ფრანგულს, გერმანულს, ქართულ და რუსულ ენებს...

**— რომელზეც თქვენ ქართული აქცენტით ლაპარაკობთ...**

— შესაძლოა (იცინის...)

**— შეგიძლიათ თქვათ, რომ თქვენ უკვე შეიგრძენით საქართველო, ღრმად ჩაწვდით მას?**

— დიახ, რა თქმა უნდა. აქაურობას კარგად შევეგუე, მაგრამ ჯერჯერობით მაინც ვსწავლობ ყველაფერს. ვცდილობ, რაც შეიძლება მეტი გავიგო ქართული ტრადიციების, საქართველოს ისტორიის შესახებ. მაგალითად, საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდი, როცა მსურდა, რაღაცით მესიამოვნებინა პრეზიდენტის დაცვის იმ ერთ-ერთი თანამშრომლის ოჯახისთვის, რომელიც კატასტროფაში დაიღუპა. მე ვიპოვე ძალზე კარგი ფოტოსურათი, რომელზეც იგი მიშას გვერდით არის აღბეჭდილი ინაუგურაციის ცერემონიის დროს. სურათი გავადიდე, ჩარჩოში ჩავსვი და მსურდა ოჯახისთვის მეჩუქებინა. საბედნიეროდ, დროზე მითხრეს, რომ ამის გაკეთება არ შეიძლებოდა, რადგან ფოტოზე მიცვალებული ცოცხალ ადამიანთან ერთად არის აღბეჭდილიო. მე პატივს ვცემ და ვიცავ აქაურ ტრადიციებს, და ამიტომ მადლობელი ვარ, რომ რაღაცრაღაცეებს მასწავლიან.

**— უბრალო ადამიანისა და პოლიტიკოსის რა თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად თქვენს მეუღლეში?**

— იგი უაღრესად კეთილი და გულწრფელი ადამიანია. დასახული აქვს მიზანი ცხოვრებაში და ადგას მისი განხორციელების გზას. იგი სამართლიანია, სურს, რომ ქვეყნის ყველა მცხოვრებს ჰქონდეს იმის შანსი, რომ იცხოვროს, იმუშაოს და, უბრალოდ, ბედნიერი იყოს.

როგორც პოლიტიკოსი კი, ვფიქრობ, რომ იგი მარტო ეროვნული გმირი არ არის. ჩემი აზრით, მიშა საერთაშორისო დონეზეც მაღალ საფეხურზე დგას და ამით ძალზე ვამაყობ. ეს გახლავთ დედამისის, ჩემი დედამთილის განსაკუთრებული დამსახურება, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა საიმისოდ, რომ მიეცა მიშასთვის ასეთი განათლება, გაეხადა იგი დამოუკიდებელი ადამიანი.



ჩვენს ოჯახში მე და ჩემი ძმაც ასე ვიზრდებოდით. დიდად ვემადლიერები ჩემს მშობლებს იმისთვის, რომ უკვე 16 წლის ასაკში გაგვიშვეს საზღვარგარეთ განათლების მისაღებად. მე და ჩემი ძმა ბევრს ვმოგზაურობდით, აბსოლუტურად დამოუკიდებლები ვიყავით და ეს ძალზე მნიშვნელოვანია.

არ ვიცი, შევძლებ თუ არა ამდენის გაკეთებას ჩემი შვილისთვის. არადა, ძალზე მსურს ეს...

**— თქვენ ამსხვრევთ ტრადიციულ წარმოდგენას პირველი ლედის შესახებ. თქვენ უფრო დემოკრატიული ხართ, როგორც საზოგადოებაში თავის დაჭერით, ისე ჩაცმის და ვარცხნილობის მანერითაც კი. ეს ბევრს მოსწონს, შემიძლია გულახდილად გითხრათ. ეს თქვენი იმიჯია, თქვენ მუშაობდით მის შესაქმნელად?**

— არა, რა თქმა უნდა. იმიჯმეიკერი ჯერჯერობით არ მჭირდება. ვცდილობ იდეებს ვეზიარო იმ ადამიანებთან ურთიერთობაში, რომლებიც ჩემს გვერდით არიან. ეს მე დიდ სიამოვნებას მანიჭებს.

**— თუ გსურთ კიდევ იყოლიოთ შვილები?**

— მსურს, მაგრამ ეს ღმერთის ნებაა...

**— როგორც ქალი, ყველაზე მეტად რაზე ოცნებობთ?**

— მინდა ვიყო ჯანმრთელი, რათა ვიმუშაო, მუდამ ჩემი ქმრის და შვილის გვერდით ვიყო. ვოცნებობ, აგრეთვე, რომ ჩემი შვილიც ისეთივე მადლიერ ადამიანად აღვზარდო, როგორც მე და მამამისი ვემადლიერებით ჩვენს მშობლებს...

## ინფორმაცია

### „სოკო“ თელავშიც შევიდა

**გუშინ საქართველოს პირველი ლედი სანდრა რულოვსი საქველმოქმედო ჰუმანიტარულ ფონდ „სოკოს“ პირველი ეროვნული დეკადის პროგრამის ფარგლებში თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს და მედიცინის მუშაკებს შეხვდა.**

**თელაველებმა მას საჩუქრად ერთი საუკუნის წინათ გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“ გადასცეს.**

**საქველმოქმედო ჰუმანიტარული ფონდი „სოკო“ მეორე დეკადის პროგრამის განხორციელებას შემოდგომაზე გეგმავს. შემდეგი პროექტი სამტრედიაში განხორციელდება. მარტის ბოლოს კი ჭიათურაში ფონდის ოფისის ფილიალი გაიხსნება.**

<u>კოლეგებთან</u>

### „ტელეიმედი“ იმედს არ გვიცრუებს

**„ტელეიმედის“ ეთერში 16 მარტიდან ახალი სერიალი „მტვრის გემო“ გავა. 8-სერიიან სერიალს მაყურებელი კვირაში ოთხჯერ იხილავს. მთავარი რეჟისორი დათო ჯანელიძეა, სცენარის ავტორი — ნინო ბასილია.**

**ინფორმაციები მოგვაწოდა ინტერ-პრესმა.**

## აღმზრდელი

# მასწავლებელი — ღამე უძილო...

**პაცია და გუნებაო. და სწორედ ასეა შრომის დაფასების გაგებაშიც. ზოგს თავისი გარჯის დაფასებად დიდძალი ფული მიაჩნია, ზოგს — ჩინ-მედლები. ქალბატონმა ნუნუ კვარაცხელიამ კი თავისი პედაგოგიური შრომის ყველაზე დიდ შედეგადაც და დაფასებადაც ის მიიჩნია, ამასწინანდელ მოსწავლეთა მორიგ სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაზე ერთ-ერთი გამარჯვებული მოსწავლის ფიზიკის მასწავლებელში თავისი ყოფილი მოსწავლე მაია ხარებავა რომ შეიცნო.**

25 წელია ასწავლის დედაქალაქის გიორგი ჭყონდიდელის სახელობის 164-ე საშუალო სკოლაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებული ნუნუ კვარაცხელია.

ფიზიკის შესწავლას მეშვიდე კლასიდან იწყებენ და პირველ გაკვეთილსაც ცოდნის ამ დიდი ტაძრის ფიზიკის დიდ აუდიტორიაში ატარებს, მოსწავლეებს ახვედრებს კათედრის წევრებს, ცდილობს თავიდანვე გაუღვივოს მოზარდებს ახალი საგნისადმი ინტერესი, შემდეგ, ალბათ, — მეცნიერების სიყვარულიც.



გულს სტკენს, რომ ბოლო ხანებში მაინც და მაინც დიდი ყურადღება აღარ ეთმობა ფიზიკის სწავლებას, მის სასწავლო-მატერიალურ უზრუნველყოფას. ერთგვარად გაპარტახდა ერთ დროს დიდებულად აღჭურვილი ფიზიკის კაბინეტი, რომელსაც წლების განმავლობაში, თითქმის არაფერი შემატებია. ამ ხარვეზის შესავსებად ქალბატონი ნუნუ კარგად იყენებს კავშირგაბმულობის მუზეუმს, სადაც ამ დარგის ღვაწლმოსილი მუშაკის ანდრე კარბელაშვილის ხელშეწყობით ბევრი ერთობლივი ღონისძიება მოაწყვეს, ევროკონკურსშიც კი მონაწილეობდნენ.

შემოქმედი მასწავლებლის შრომის ერთ-ერთი პირველი დიდი დაფასება იყო პედაგოგიური კოლექტივის განსაკუთრებული ნდობა, როდესაც ის სასწავლო დარგში სკოლის დირექტორის მოადგილედ აირჩიეს. ეს იყო 1987 წელს.

ახლა კი, როცა განათლების სამინისტრომ სასკოლო რეფორმების შესაბამისად ახლებურად მოაზროვნე პედაგოგების ტრეინინგი დაიწყო, იგი, ერთ-ერთი პირველი ჩაება მასში და იქ მიღებული ცოდნისა თუ გამოცდილების დანერგვა თავის პედაგოგიურ კოლექტივშიც დაიწყო. შეიძლება, თამამად ითქვას, რომ სკოლის დირექტორს დემურ ბერიას მისი სახით ძალზე საიმედო თანამებრძოლი ჰყავს.

ზემოთ უნივერსიტეტთან უწყვეტ კავშირზე აღვნიშნეთ და შეიძლება, იგივე ითქვას მისი მშობლიური სოფლის, ნარაზენის აკაკი წერეთლის სახელობის საშუალო სკოლასთან ურთიერთობაზეც. თავისი სკოლის შესაძლებლობებისა თუ ნაცნობ-მეგობრების ხელშეწყობით ცდილობს სამეგრელოში მხედრიონის შესევის დროს საკმაოდ „შელანძღული“ შენობისა თუ კლას-კაბინეტებისათვის დახმარების აღმოჩენას. ასევე კარგი მეგობრული კავშირი აქვთ მათსავით გიორგი ჭყონდიდელის სახელობის მარტვილის საშუალო სკოლასთანაც.



ერთი სიტყვით, ქართველი ქალის დიდი ცხოვრებით ცხოვრობს ნუნუ კვარაცხელია. და მისი ამ შრომის კიდევ ერთი დაფასებაა ისიც, რომ ისევ და ისევ თავისი კოლეგების წარდგენით, საქართველოს პედაგოგიურმა საზოგადობამ ამ დღეებში იგი დიდი ქართველი განმანათლებლის — იაკობ გოგებაშვილის საიუბილეო მედლითა და საპატიო სიგელით დააჯილდოვა.

**გილოცავთ, ქალბატონო ნუნუ, ჯილდოსაც და ქალთა დღესასწაულსაც!**

**ვალიკო სიმონიშვილი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

აჭარა

# რაღა დროს მანქურთობაა?

**რევოლუციურმა ქარმა აჭარაშიც დაბერა. დაძაბულობა და არასტაბილური სიტუაცია ზოგისთვის ხელსაყრელ, ზოგისთვის კი საბედისწერო მდგომარეობას ქმნის. ფაქტი უდავოა. 20-23 თებერვალს ზღვისპირეთში ადამიანები დაარბიეს. და ისინი, რაოდენი დამთხვევაც არ უნდა იყოს, აჭარის ხელისუფლების მიმართ ოპოზიციურად განწყობილი პირები გახლავთ. დაჭრილებიც არიან, მაგალითად, გონიოში მოსახლე რამდენიმე მოქალაქე, მათ შორის, ცნობილია ვინმე ბერიძე. ტვინის შერყევა აქვს თამაზ დიასამიძის ერთ-ერთ ძმას. სასტიკად გაუსწორდნენ ჯელილ ქიქავას ოჯახს, სადაც ბოლოს ხელყუმბარა შეაგდეს. უფლებააყრილთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მაგრამ როდესაც შენს ქალაქსა თუ ქვეყანაში ფეხქვეშ ითელება კანონები, ირღვევა ადამიანის უფლებები, მათ სცემენ, ჭრიან, აპატიმრებენ და ა. შ. ძნელია გაჩუმდე, ძნელი და შეუძლებელიც.**

ამ მოვლენებსა და, საერთოდ, აჭარაში შექმნილ დაძაბულ სიტუაციასთან დაკავშირებით განცხადების გაკეთება შენიშვნის სახით ფილოსოფოსმა, პროფესორმა, ორგანიზაცია „ჩვენი აჭარის" ერთ-ერთმა დამფუძნებელმა მიხეილ მახარაძემ პარლამენტის ტრიბუნიდან სცადა. დიახ, სცადა, რადგან იმის თქმა, რომ აჭარის მოვლენები ცალმხრივად კი არა, საფუძვლიანად საჭიროებს შესწავლას, გამოკვლევასა და შეფასებას, მას არ დასცალდა. „ამღორძინებელი" ვახტანგ აბაშიძე მაშინვე სკამიდან წამოხტა, მიხეილ მახარაძეს ქვეყნის მტრობა დასწამა და ზედ ლანძღვა-გინებაც მიაყოლა. ეს 1999 წლის მოწვევის პარლამენტის ბოლოს წინა სხდომაზე მოხდა. ბატონი მიხეილის მიმართ ნათქვამი უშვერი სიტყვები ტელეარხებმა რამდენჯერმე „დაატრიალეს". აჭარის ტელევიზიას კი ამ ფაქტისთვის სარჩულის შეკერვა არ გასჭირვებია. და მაინც მისი საშუალებით, აჭარის მოსახლეობამ გაიგო, თუ როგორ უსწორდება ადგილობრივი ხელისუფლება ოპოზიციას, ამ შემთხვევაში „აღორძინება" – „ჩვენს აჭარას".

რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს, პარლამენტის დარბაზში ჩხუბი და ხელჩართული ბრძოლა არ გამართულა. ფილოსოფოსი კაცი გამოწვევას გამოწვევითვე ვერ უპასუხებდა.

– მე მაშინვე შემეცოდა ვახტანგ აბაშიძე, რადგან მას არა აქვს საკუთარი აზრი, შეხედულება, პოზიცია. მისი გამოსვლა გამიზნული იყო მხოლოდ ბაქიაობისთვის და, რაც მთავარია, ასლან აბაშიძის აპლოდისმენტებისთვის. ასეთი პიროვნება კი მხოლოდ შეცოდებას იწვევს. წვეთი ირონიისა აქ არ არის, – თქვა ჩვენთან საუბარში მიხეილ მახარაძემ.

საქმე ის არის, რომ ყველაფერი ამით არ დამთავრებულა. „აღორძინებას" დარბაზში ქომაგებიც გამოუჩნდნენ. ბატონები ანზორ აბრალავა და მუხრან მაჭავარიანი იმავე წამს ჩაებნენ „დებატებში".

ჩემს რესპონდენტს ჩინგიზ აიტმატოვის რომანი „და დღე იყო წუთისოფელზე გრძელი" ახსენდება და თხზულებაში წამოჭრილ მანქურთის პრობლემას მის ოპონენტებს, აჭარის ხელისუფლების მოტრფიალე პირებს უკავშირებს.

– ჩემს გამოსვლაში შეფასებას ვაძლევდი აჭარაში შექმნილ მძიმე ვითარებას. უდანაშაულო ხალხი ისჯება, სიტყვის თავისუფლება იხშობა. აჭარის ხელისუფლება იმ სამი დღის განმავლობაში სასტიკად უსწორდებოდა ოპოზიციის წარმომადგენლებს. მართალია, ჩვენი ორგანიზაცია „გაერთიანებული აჭარა" აქტიურად მუშაობს, მაგრამ რთულდება სიტუაცია. გადაცმული სპეცრაზმელები არ ცხრებიან. თავს ესხმიან უბრალო ადამიანებს და გასაქანს არ აძლევენ. ასე არ უნდა ხდებოდეს. აჭარის ხელისუფლების მოქმედება მიმართულია ქვეყნის მთლიანობის წინააღმდეგ, – თქვა ბატონმა მიხეილმა და საკუთარი მოსაზრება ასე დაასაბუთა: – პრეზიდენტის ინაუგურაციის დღეს, როდესაც საქართველოს ყველა სატელევიზიო არხი და მაუწყებლობა კურთხევის ცერემონიას აშუქებდა, და ეს ბუნებრივიცაა, აჭარის ტელევიზია ჩვეულებრივ პროგრამებს გადასცემდა. აჭარის უშიშროების საბჭოს მდივანი გივი ცივაძე კი საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიერ ბატონ ასლან აბაშიძის მიპატიჟებას თბილისში ასეთ კომენტარს უკეთებს: ასლან აბაშიძე, ადმინისტრაციული მუშაკი არ არის, მიხეილ სააკაშვილის დაძახილზე რომ ჩავიდესო! ასეთ პასუხზე, ბუნებრივია, ჩნდება ეჭვი, ბატონი ასლანი რუსეთის ადმინისტრაციული მუშაკი ხომ არ არის, მის გამოძახილს რომ ექოსავით თან დაჰყვება?

**თუმცა დრო თავის სათქმელს იტყვის.**

**ცენტრალური ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს და გააკეთებს კიდეც ქვეყანაში სტაბილურობისა და მშვიდობის დასამყარებლად. ეს ეჭვგარეშეა. მაგრამ, მაინც, რატომ იგვიანებს აჭარაში მიმდინარე პროცესების შემსწავლელი სპეციალური კომისიის შექმნა, რომელზედაც ასე გულმოდგინედ საუბრობენ და ჯერ ვერ შეუქმნიათ? დროის გაჭიანურება ვიღას უნდა აძლევდეს ხელს? ცენტრალური ხელისუფლება ვალდებულია აღმკვეთი ზომები მიიღოს და რაც შეიძლება მალე. მით უმეტეს მაშინ, როცა არჩევნები კარს მოგვადგომია.**

ეთერ საბანაძე.

## ჯეიმს ბონდი ყოფილა ქუცნაშვილი?

**აჭარის ხელისუფლებასთან დაახლოებული წყაროების მტკიცების მიუხედავად, „სოციალისტური პარტიის" ერთ-ერთი ლიდერი ზაქარია ქუცნაშვილი კატეგორიულად უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას გუშინ ბათუმში ვიზიტისა და აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრ ჯემალ გოგიტიძესთან შეხვედრის თაობაზე.**

ქუცნაშვილის განცხადებით, გუშინ პარტიის აქტივს და არჩევნებში მონაწილე დეპუტატობის კანდიდატებს საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით შეხვედრები ქუთაისსა და ლანჩხუთში ჰქონდათ. რაც შეეხება აჭარაში ვიზიტს, როგორც ქუცნაშვილმა „ინტერ-პრესს" განუცხადა, არც ის და არც პარტიის სხვა ლიდერები ბათუმში ჩასვლას და გოგიტიძესთან შეხვედრას არც კი გეგმავდნენ.

აჭარის შს მინისტრ ჯემალ გოგიტიძესთან დაახლოებული წყაროების მტკიცებით, „სოციალისტთა" ერთ-ერთი ლიდერი ქუცნაშვილი 6 მარტს, 03.00 საათზე ბათუმში იმყოფებოდა, გოგიტიძეს შეხვდა და მათ შორის საუბარი თითქმის ერთ საათს გაგრძელდა. იმავე წყაროს ვარაუდით, ქუცნაშვილი გოგიტიძესთან პარლამენტის არჩევნებზე „სოციალისტური პარტიის" მიერ ხმების მიღების შანსებს ადგენდა, ვითარებაში ადგილზე გარკვევის შემდეგ კი აჭარა ისევე შეუმჩნევლად დატოვა, როგორც ჩავიდა.

იმავე წყაროს ცნობით, აჭარის ხელისუფლება სერიოზულად არის შეშფოთებული წინასაარჩევნოდ აჭარაში შექმნილი ვითარებით. ასლან აბაშიძის გარემოცვას, ერთის მხრივ, აჭარის მოსახლეობის ხმების გაყალბების ხარჯზე თავისი წარმომადგენლის – „აღორძინების" პარლამენტში გაყვანა სურს, მეორე მხრივ კი, კარგად ესმის, რომ არჩევნების სამართლიანად ჩატარების შემთხვევაში „აღორძინება" აჭარაში 50-70 ათას ხმაზე მეტს ვერ მიიღებს.

## „დასეირნობენ", როგორც საკუთარ პოლიგონზე

**საქართველოში რუსეთის საელჩოს კატეგორიული უარყოფის მიუხედავად, აჭარის ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მე-12 სამხედრო ბაზის ტექნიკამ 5 მარტს, დილით ორი დღის წინათ გავლილი მარშრუტი გაიმეორა.**

როგორც „ინტერ-პრესს" გაერთიანებული ოპოზიციური მოძრაობა „ჩვენი აჭარის" კოორდინატორმა თამაზ დიასამიძემ განუცხადა: „აჭარაში რუსული სამხედრო ნაწილებიდან სამხედრო ტექნიკის გადაადგილების ფაქტები იმდენად ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, რომ ადგილობრივმა მოსახლეობამ არ იცის, როდის და სად შეიძლება, შემოხვდეს რუსული სამხედრო ტექნიკა ბათუმსა და ხელვაჩაურის რაიონებში".

თამაზ დიასამიძის აზრით, ბათუმის ქუჩებსა და შემოგარენში რუსული ტექნიკის გამოჩენით ასლან აბაშიძე მოსახლეობაში „შიშის სინდრომის ჩამოყალიბებას" და ძალის დემონსტრირებას ცდილობს.

## შეასრულებს თუ არ შეასრულებს?

**გაერთიანებული ოპოზიციური მოძრაობა „ჩვენი აჭარა" დარწმუნებულია, რომ აჭარის ლიდერი ასლან აბაშიძე არ შეასრულებს საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის დავალებას რეგიონში ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების გამოძიების თაობაზე.**

„ჩვენი აჭარის" ერთ-ერთი ლიდერის თამაზ დიასამიძის აზრით, პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ აბაშიძისთვის დავალების შესასრულებლად მიცემული 10-დღიანი ვადის ამოწურვის შემდეგ აჭარის მეთაური საქართველოს ახლადარჩეულ პრეზიდენტს „დავალებაზე რეაგირების ღირსადაც არ ჩათვლის", ვინაიდან მას „კარგა ხანია, ცენტრალურ ხელისუფლებასთან კონფრონტაციაზე ორიენტირებული კურსი აქვს აღებული, რაც თავისთავად კონსტრუქციულ თანამშრომლობას გამორიცხავს".

„აღორძინების" ბელადი ასლან აბაშიძე არ დაუშვებს მისი ერთ-ერთი უერთგულესი „ოპრიჩნიკის" – ქობულეთის გამგებლის ტარიელ ხალვაშის დაკავებას და, მით უმეტეს, მის საპყრობილეში მოთავსებას, ვინაიდან ამგვარი ქმედება მისივე მხარდამჭერებში დაბნეულობასა და შიშს გამოიწვევდა", – განუცხადა მან „ინტერ-პრესს".

თამაზ დიასამიძის თქმით, ძნელი სათქმელია, რას მოიმოქმედებს პრეზიდენტი აბაშიძის მიერ დავალების შეუსრულებლობის საპასუხოდ, თუმცა დარწმუნებულია, რომ მიხეილ სააკაშვილის განცხადებები აბაშიძის მომხრეებზე „ფსიქოლოგიურად მოქმედებს და ხელს უწყობს მათ რიგებში აბაშიძისთვის არასასურველი პროცესების განვითარებას".

5 მარტს პრეზიდენტმა სააკაშვილმა აჭარის მეთაურს ასლან აბაშიძეს ხელვაჩაურის საგუშაგოზე ჟურნალისტ ვახტანგ კომახიძის ცემის და ევროსაბჭოს გენერალური მდივნის ვალტერ შვიმერის ბათუმში ვიზიტის დროს ქობულეთის გამგებლის ტარიელ ხალვაშის მიერ „ჩვენი აჭარის" მიტინგის დარბევის ფაქტების გამოსაძიებლად 10 დღის ვადა მისცა.

ინფორმაციები მოგვაწოდა ინტერ-პრესმა.

არჩევნები

## საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

## განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია (მის.: თბილისი, რუსთაველის გამზ. №29, საფოსტო ინდექსი 0104) აცხადებს კონკურსს ქვემოთ მითითებული პროდუქციის შესასყიდად და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**– საარჩევნო ბიულეტენების ბეჭდვა**

საარჩევნო ბიულეტენები იბეჭდება ქაღალდზე შემოთავაზებული დამცავი ნიშნით, რომლის დაკვეთის უფლება აქვს მხოლოდ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. პოლიგრაფიულ საწარმოს უნდა გააჩნდეს უფლება მკაცრი აღრიცხვა-ანგარიშგების დოკუმენტების ბეჭდვაზე. მოწოდებული უნდა იქნეს 3,300,000 ცალი ბიულეტენი.

2. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები (ა. ცნობები, რომ არ ხორციელდება ლიკვიდაცია და მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა; ბ. ცნობა, რომ ორგანიზაციის ხელმძღვანელი ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე; გ. ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანქციის საქმე;) და საკონკურსო წინადადება შესაბამისი ფორმით უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე ა/წ 10 მარტის 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, რუსთაველის გამზ. 29, მე-3 სართული, ოთახი № 328; საკონტაქტო პირები – ტარიელ ხიზანეიშვილი, გიორგი დათუნაშვილი (ტელ./ფაქსი: 98-70-05).

**დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაცია შეუძლიათ მიიღონ განცხადების მე-2 პუნქტში მითითებული პირებისაგან.**

ქორწილია, ქორწილი

## ოჯახი — მუდრო ნავსაყუდელი



**ამ ლამაზი წყვილის მეგობრობა ბათუმში დაიწყო. იქაურები არიან. უმაღლესი განათლება კი თბილისში მიიღეს. ნანა დუმბაძემ თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი დაამთავრა და დიდი დიღმის მე-14 პოლიკლინიკაში თერაპევტად მუშაობს, იგორ გაბაიძემ თბილისის აგრარული უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ საკანდიდატო დაიცვა და უნივერსიტეტშივე დატოვეს, მექანიზაციის კათედრაზე მუშაობს. მათ თავიდანვე კარგად გაიაზრეს ცხოვრების დიდი მოთხოვნა, რომელსაც ოჯახის შექმნის პასუხისმგებლობა ჰქვია. სიყვარულმა გაამყარა ახალგაზრდა ოჯახის საძირკველი.**

მოგეხსენებათ, ცხოვრება ჭიდილია და ის უაზროდ არაფერს ქმნის. ოჯახიც ცოლ-ქმრობაზეა აგებული. ეს ყოველივე ნანასა და იგორს კარგად აქვთ გააზრებული. ქორწინება ხომ ის წიგნია, რომელშიც ორი ადამიანის სიყვარულის პოემაა ჩაწერილი. სწორედ ასე დაიწყო ამ ფოტოზე აღბეჭდილი ამ ბედნიერი წყვილის ცხოვრებაც. პატარძალს ახსოვს საქორწინო სუფრაზე თამადის დალოცვა:

– „მიუჯდები აკვანსა, ურწევ ხანის ხანასა... ნაზსა ლამაზმანასა, სუფთა ფაქიზანასა..." ასე, რომ ოჯახის მომავალი მათ ისეთ რწმენაზე დააფუძნეს, როგორიც მათ მამა-პაპათ ჰქონდათ, ვისაც სამშობლოს ბედი აწუხებდათ და კანდელს მამაც წინაპრებს დღემდე უნთებენ.

ცოლქმრული კავშირი ეკლესიურია. ესეც კარგად ახსოვთ ახალ შეუღლებულთ და მათზე გადმოდის ღვთის მადლი, მართლმადიდებლური ეკლესიის 7 საიდუმლოდან, რომელმაც ღვთიური კავშირით შეაერთა ეს ორი ახალგაზრდა.

რას ვუსურვებთ ამ ბედნიერ წყვილს? – როგორც ქართულ ხალხურ სიმღერაშია ნათქვამი:

„... ღმერთო, ნუ მოშლი ამ სახლში, ლხინსა და გახარებასა".

სიყვარული არასოდეს დაბერებოდეთ – გამრავლდნენ!

ნათელა ფაილოძე.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

სპორტი

ტყვიის სროლა

# ვერცხლის თასი — საზმარტოდ



**საქართველოს უძლიერეს სპორტსმენთა ერთმა ნაწილმა კარგა ხანია ათენის ოლიმპიური თამაშების ლიცენზია მოიპოვა და ახლა სპეციალური გეგმით ემზადება წლის ამ უმნიშვნელოვანესი სპორტული ფორუმისთვის. მათ შორის გახლავთ ტყვიის სროლაში სეულის ოლიმპიადის ჩემპიონი ნინო სალუქვაძე. იგი ამჟამად უცხოეთში იმყოფება. ამას წინათ მან ბანგკოკში იასპარეზა მსოფლიო თასზე და ორივე სახეობაში — პნევმატური და სპორტული პისტოლეტით სროლაში ხელი მოეცარა.**

ქართველი ჩუბინისთვის ავსტრალიური კლიმატი უფრო ხელსაყრელი გამოდგა. სიდნეიში პნევმატური პისტოლეტით ასპარეზობისას საკვალიფიკაციო შეჯიბრების შემდეგ ერთბაშად ოთხმა სპორტსმენმა — სალუქვაძემ, ავსტრალიის სახელით მოასპარეზე ლოლიტა იევლევსკაიამ, რუსეთელმა დინა ასპანდიაროვამ და მონღოლმა გუნდეგმაა ოტრიადმა 385-385 ქულა მოაგროვეს. ფინალში მეხუთე ნომრად შესულმა ჩინელმა იე ტიანმა ბოლო სერიაში 102,6 ქულა მოაგროვა და საბოლოოდ 484,6 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. მას 1,6 ქულით ჩამორჩა ნინო სალუქვაძე, რომელსაც ვერცხლის თასი და სუპერფინალში მონაწილეობის უფლება ერგო (482,9 ქულით მესამე ადგილზე იევლევსკაია გავიდა).

გულშემატკივრებს შევახსენებთ, **რომ ნინო სალუქვაძე 1969 წლის 1 თებერვალს არის დაბადებული. ტყვიის სროლაში 1982 წლიდან ვარჯიშობს მამის — ვახტანგ სალუქვაძის ხელმძღვანელობით. ოცჯერ მსოფლიო თასს, ექვსჯერ კი სუპერთასს ფლობდა. ორჯერ იყო ევროპის ჩემპიონი (1990, 1993 წ.წ). ერთხელ მეორე (1999) და ოთხჯერ მესამე (1996, 2000, 2001 და 2003 წ. წ.) პრიზიორი, 1988 წლის სეულის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონია სპორტული პისტოლეტით სროლაში, ხოლო პნევმატური პისტოლეტით ვერცხლის მედალი მოიპოვა.**

**მსოფლიო ჩემპიონატებზე სამჯერ (1986 წ. — გუნდური, 1989 წ. პირადი (პნევმატურით) და გუნდური გაიმარჯვა, 2002 წელს მეორე, 1986 წელს კი მესამე ადგილზე გავიდა. ოლიმპიურ თამაშებში მეხუთედ იასპარეზებს.**

ზემოაღნიშნული ტიტულების მფლობელისთვის სიდნეიში მოპოვებული ვერცხლის თასიც არ არის ურიგო სარვამარტოდ.

**ქალბატონ ნინო სალუქვაძეს და მასთან ერთად ჩვენს სპორტსმენ მანდილოსნებს ვულოცავთ ქალთა საერთაშორისო დღეს და ვუსურვებთ, ქომაგები მსოფლიო არენაზე მიღწეული წარმატებებით გაეხარებინოთ!**

**ვაჟა დანელია.**

**სურათზე: მამა-შვილი ნინო და ვახტანგ სალუქვაძეები.**

წინ, საქართველო!

# ექვს მარტს — მეექვსედ!



**საქართველოსა და რუსეთის მორაგბეთა ეროვნული გუნდების ორთაბრძოლები ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს.** ამ მხრივ არც გუშინ „ლოკომოტივის" სტადიონზე ევროპის ერთა თასზე გამართული შეხვედრა იყო გამონაკლისი, მით უმეტეს, რომ ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებს „მშობლიური" ამინდი დაუხვდათ თბილისში და, ცხადია, ბორჯღალოსანთა ძლევა განიზრახეს: მათ ხომ საბჭოეთის რღვევის შემდეგ გუშინდლამდე ქართველ მორაგბეებს შვიდი მატჩიდან მხოლოდ ერთი მოუგეს ათი წლის წინათ, ერთიც ფრედ დაამთავრეს, დანარჩენი ხუთი შეხვედრა კი დათმეს, მათ შორის, ორი — საკუთარ მოედანზე.

ბორჯღალოსნებსაც სარეაბილიტაციოდ ჰქონდათ საქმე მაყურებლებთან. ჩვენმა ბიჭებმა ერთა თასის წინა ორი პაექრობა ხომ უღიმღამოდ წარმართეს და მხოლოდ ქულას დასჯერდნენ, ამიტომაც გუშინ „ლოკომოტივზე" შეეცადნენ დანაკარგის ანაზღაურებას. პირველ ტაიმში არაერთხელ შეუტიეს სახიფათოდ, მაგრამ მეტოქის სალელოე მოედნის დალაშქვრა ვერ მოახერხეს. სამაგიეროდ, ჯიმშელაძემ იყოჩაღა — 24-ე და 38-ე წუთებზე არეკნითა და ზუსტი საჯარიმო დარტყმით 6 ქულა შესძინა თავის გუნდს.



შესვენების შემდეგ სტუმრები გააქტიურდნენ და 47-ე წუთზე ანგარიშში სხვაობა შეამცირეს (ჯარიმა ზუსტად დაარტყა რაჩკოვმა). ამის შემდეგ ორთაბრძოლა გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. ორივე გუნდს ჰქონდა ლელოს გატანის შანსები (სტუმრებმა ამ მხრივ გვაჯობეს), თუმცა მათი გამოყენება ვერ შეძლეს. 82-ე წუთზე კი ბარკალაიამ უნაკლოდ შეასრულა საჯარიმო და მასპინძელთა მონაგარი 9 ქულამდე გაზარდა. საბოლოოდ 9:3 გაიმარჯვეს ბორჯღალოსნებმა და გათამაშების ცხრილში ორი ქულა ჩაიწერეს.

გუშინ საქართველოს ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ბარკალაია, ხამაშურიძე (გუგავა), ზიბზიბაძე (ფირფილაშვილი), ურჯუკაშვილი (კვირიკაშვილი), ანდღულაძე, ჯიმშელაძე, სამხარაძე, ბოლღაშვილი (გორგოძე), ლაბაძე, მაისურაძე, დიდებულიძე (ურუშაძე), ზედგინიძე, სუჯაშვილი, დადუნაშვილი, მთიულიშვილი (ხინჩაგიშვილი).

მორიგ შეხვედრას ჩვენი გუნდი 20 მარტს შინ ჩეხეთის ნაკრებთან გამართავს.

**ლევსო ცინცაძე.**

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**





ფეხბურთი

# თოვლი და „წვიმა" დიდუბეში



დავით ყიფიანის სახელობის ეროვნული თასის გათამაშების მერვედფინალური ეტაპი თბილისის „დინამოსა" და წყალტუბოს „სამგურალის" გუშინდელი მატჩით დაიწყო.

შესვენებამდე მეორელიგელები ვაჟკაცურად უმკლავდებოდნენ მასპინძლებს და საპატიო შედეგსაც მიაღწიეს — 0:0. მოსახდენი მხოლოდ მეორე ტაიმში მოხდა — 55-ე წუთიდან მოყოლებული, დსთ-ს ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელმა მარტის თოვლს „გოლების წვიმაც" მიაყოლა — 6:0 და საპასუხო რაუნდს ინტერესი დაუკარგა. გოლები გაიტანეს მელქაძემ (3), ანჩაბაძემ, გოგობერიშვილმა და ბობოხიძემ.

დანარჩენი შეხვედრები დღეს გაიმართება.

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

მემორიალი

# „არეალის“ და „მთვარის გლობუსის“ თაოსნობით

**ვარკეთილში, საფეხბურთო კლუბ „არეალის“ მოედანზე 1992 წელს დაბადებულ ფეხბურთელთა 10 გუნდი მონაწილეობდა „დიუსელდორფის გმირის“ ვიტალი დარასელიას მემორიალში.**

ფინალურ შეხვედრაში ვარკეთილის „არეალმა“ პენალტებით 4:3 დაამარცხა ქუთაისის „დინამო“ და მთავარ პრიზს დაეუფლა, მესამე საპრიზო ადგილისათვის მატჩში „მერანმა“ 3:2 მოუგო „მართვეს“.

ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად ჯაბა ჯიღაური („არეალი“) დაასახელეს.

ვარკეთილის „არეალის“ კლუბის გარდა, ტურნირის ორგანიზატორი იყო აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია.

* * *

საფეხბურთო კლუბ „მთვარის გლობუსის“ მოედანზე კი 1990-1991 წლებში დაბადებულ ნორჩთა 12 გუნდი შეიკრიბა, რათა მონაწილეობა მიეღოთ მწვრთნელ **გია ალექსიშვილის** ხსოვნის ტურნირში. აქ თბილისის „ლოკომოტივმა“ გაიმარჯვა, რომელმაც გადამწყვეტ მატჩში 2:0 დაამარცხა „ბერმუხა“.

„მთვარის გლობუსის“ ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად გამარჯვებული გუნდის წევრი ბექა ჯინჭარაძე აღიარეს.

**ბესიკ ბაბრიაძე.**

**სურათებზე: „არეალი“; გამარჯვებული გუნდის კაპიტანს თასს გადაცემს ყოფილი დინამოელი გრიგოლ ცაავა.**

**რობერტ ბაზოიანის ფოტო.**





ფრენბურთი

# ითამაშებს, აბა, რავა?

**საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან ახვლედიანმა გვაუწყა, რომ მაისის მეორე ნახევრიდან ჩვენი ქვეყნის ფრენბურთელ ქალთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ჩაებმება. მისი მეტოქეები იქნებიან მოლდოველები, სლოვენიელები, შვედები და ხორვატები. ტურნირში საპაექროდ ჩვენს გუნდს სულ მცირე 60 ათასი ლარი მაინც სჭირდება, ფედერაციას კი დღემდე ბიუჯეტიდან არაფერი მიუღია.**



პრობლემურია ნაკრების დაკომპლექტებაც. ბატონ ლევანს მიაჩნია, რომ დადებითად გადაწყდება ვიქტორია რავას ჩვენს გუნდში თამაშის საკითხი. საფრანგეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი რავას დაჟინებით თუ არ მოსთხოვს სამფეროვანთა ღირსების დაცვას, მაშინ თბილისში გაზრდილი „კანის“ კაპიტანი ორმაგ მოქალაქეობას მიიღებს (ახლა იგი საფრანგეთის მოქალაქედ ითვლება) და ევროპის ჩემპიონატზე ჩვენს გუნდს შეეშველება. შესაძლებელი გახდება, ასევე, სხვადასხვა ქვეყანაში წასული ფრენბურთელების დაბრუნებაც. მაშინ საქართველოს ნაკრები სოლიდურ სახეს მიიღებს და შესარჩევ ტურნირშიც ანგარიშგასაწევი ძალა გახდება. ოღონდ, ყველაფერს ფული სჭირდება. საკითხავია, სად ვიშოვოთ 60 ათასი ლარი?!

**გიორგი ბაგუა.**

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**

აქეთურ-იქეთური

## მასპინძლები თავს არ შეირცხვენენ

**პორტუგალიის ნაკრები აპირებს თავისი მზადება ევროპის პირველობისათვის 5 ივნისს დაასრულოს, როცა იგი ქ. ალკოშეტში ლიტველებს მიიღებს.** მანამდე პორტუგალიელები უკვე შეხვდნენ ქ. ალგარვაში ინგლისელებს (1:1), 31 მარტს ქ. ბრაგაში იტალიელებს ეთამაშებიან და 28 აპრილს ქ. კოიმბრაში – შვედებს. მაისის ბოლოს უნდა გაიმართოს შეხვედრა ლუქსემბურგელებთან, მაგრამ შეხვედრის ზუსტი თარიღი ჯერ უცნობია.

## ფული გამოელიათ?

**გამოჩენილი გერმანელი მწვრთნელი, საბერძნეთის ნაკრების ახლანდელი ხელმძღვანელი ოტო რეჰაგელი შეშფოთებულია იმით, რომ ქვეყნის წამყვან კლუბებს ფინანსური სიძნელეები აქვთ და ამან შეიძლება ევროპის პირველობის წინ პრობლემები შექმნას.**

რა სერიოზულ მომზადებაზეა ლაპარაკი, როცა ნაკრებს ოთხი ფეხბურთელი – ნახევარმცველები ვასილის ტარტასი, თეოდოროს ზაგორაკისი, ვასილის ლაკისი და მცველი მიხალის კაპსისი აპირებენ, შეწყვიტონ კონტრაქტი ათენის აეკ-თან, რადგან მათ ხელფასს სისტემატურად უგვიანებენ. ნაკრების ძირითად მეკარეს ანტონიოს ნიკოპოლიდისს სწორედ ხელფასის გამო კონფლიქტი მოუვიდა ათენის „პანათინაიკოსის“ ხელმძღვანელობასთან და არავინ იცის, როგორ მოემზადება იგი მომავალი მატჩებისათვის.

## დარჩება კი ძალა რაულს?

**რაულ გონსალეს ბლანკო, ანუ უბრალოდ, რაული რომ ბრწყინვალე ფეხბურთელია, ამას მტკიცება რად უნდა. როგორია ამჟამად მისი საბრძოლო მზადყოფნა? ჩინებული – იტყვის ყველა ექსპერტი.** ეს ასეა, მაგრამ ესპანეთის ნაკრების მწვრთნელ ინიაკი საესს მაინც ერთი რამ აღელვებს: საქმე ის არის, რომ რაული ისეთ ფეხბურთელთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც მინდორზე თავს არ იზოგავენ, უდიდესი მონდომებითა და შეუპოვრობით თამაშობენ. საესი უფრთხის ესპანეთის ჩემპიონატში ისეთი სიტუაციის წარმოქმნას, როცა „რეალს“ უკანასკნელ ტურებში დიდი დაძაბვით თამაში მოუხდება. მაშინ, რაულს



შეიძლება ძალები უდავოდ გამოელიოს და ევროპის პირველობაზე, უბრალოდ, გამოწურული ლიმონი იქნება. ასე მას ადრე უკვე მოსვლია.

აქ გამოსავალი მაინც არსებობს: სასურველია, მადრიდის „რეალმა“ ჩემპიონობა ვადაზე ადრე მოიპოვოს (ჯერჯერობით სწორედ ასე ეტყობა), მაშინ წამყვან ფეხბურთელებს და მათ შორის რაულსაც დასვენების საშუალება მიეცემათ.

## ფრანგები შეღავათს ითხოვენ

**საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ უეფას გაუგზავნა ოფიციალური თხოვნა საფრანგეთისათვის ევროთასებზე დამატებითი ადგილის გამოყოფის შესახებ,** იმ შემთხვევაში, თუ „მონაკო“ ამ შეჯიბრებაში მოხვდება. ახლა „მონაკო“ საფრანგეთის პირველობის ლიდერია და ჩემპიონობამდე ბევრი არაფერი უკლია. იგი საფრანგეთის უმაღლეს ლიგაში კი თამაშობს, მაგრამ სხვა სახელმწიფოს წარმომადგენელია... ფრანგები იმასაც უსვამენ ხაზს, რომ ამ ქვეყნებს შორის არსებული განსხვავებული საგადასახადო სისტემის გამო „მონაკო“ ყველა ფრანგულ კლუბზე გაცილებით უფრო მდიდარია.

## თუ ნაკრებში მოხვედრა გინდა, სამშობლოს ნუ დატოვებ!

**ეს შეიძლება ყველა ნაკრებს ეხება, მაგრამ ზოგი ფეხბურთელი გაუფრთხილებლად ცხრა მთას იქით მიდის.**

აი, შვეიცარიის ნაკრების წევრებმა კი სიტუაციას ალღო აუღეს. ხაკან იაკინი ფრანგულ „პარი სენჟერმენში“ ირიცხებოდა, მაგრამ ერთი მატჩიც კი არ უთამაშია, ისე დაბრუნდა „ბაზელში“, რათა ნაკრების მწვრთნელმა კობი კუნმა ყოველდღიურად ადევნოს თვალი. რიკარდო კაბანიასმა, რომელიც მშობლიური „გრასჰოპერსიდან“ „გენგამში“ (საფრანგეთი) გადავიდა, გადაწყვიტა უკან დაბრუნდეს. იგივეს აპირებენ პატრიკ მიულერი („ლიონში“ გამოდის) და ფაბიო ჩელესტინი („მარსელი“).

## თუ მესამე დივიზიონში გადახვალ...

**საბერძნეთის ნაკრების ძირითადი მცველი პარასკევას ანცასი შეიძლება ევროპის ჩემპიონატის განაცხადში არ შეიყვანონ.** რატომ? კვალიფიკაციის შესაძლებელი დაკარგვის გამო, რაც მას...



მესამე დივიზიონის კლუბში გადასვლისას მოელის. აქამდე ანცასი გამოდიოდა ქვეყნის ჩემპიონ „ოლიმპიაკოსის“ (პირეოსი) შემადგენლობაში, მაგრამ მოულოდნელად დაწერა განცხადება და „ფოქსა დრამასში“ გადავიდა, თუმცა „ოლიმპიაკოსს“ მასთან კიდევ ორი წლით უნდოდა ხელშეკრულების დადება. 28 წლის ანცასმა „პირადი ხასია-





თის პრობლემების გამო“ მშობლიურ ქალაქსა და მესამე დივიზიონში გამოსვლა არჩია, რამაც ნაკრების გერმანელი მწვრთნელის ოტო რეჰაგელის უკმაყოფილება გამოიწვია.

## ჩემპიონატი კარგია, მაგრამ...

**ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის წრიული ტურნირის დროს საბერძნეთის ნაკრები სასტუმრო „სანტანაში“ იცხოვრებს, რომელიც 27 კილომეტრით არის დაშორებული ქ. პორტუდან. აქ სულ 75 ნომერია, რომელთაგან 40-ს ბერძნები დაიკავებენ: მოთამაშეები, მწვრთნელები, ოფიციალური პირები.**

– აი, იმას კი ვერ დაგპირდებით, რომ დარჩენილ ნომრებში არავის შევასახლებთ – 6 ივნისიდან 1 ივლისამდე ხომ ბევრი მთხოვნელი გვეყოლება. ჩემპიონატი კარგია, მაგრამ ჩვენს თავზეც ხომ უნდა ვიზრუნოთ? – განაცხადა „სანტანას“ მფლობელმა.

## „თუკი გუნდური სულისკვეთებით არ განიმსჭვალებიან“

**როგორც ლუის ფელიპე სკოლარიმ განაცხადა, იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პორტუგალიის ნაკრების ბოლო შეკრებას, რომელიც 18-31 მაისს გაიმართება, თუმცა ამბობს, რომ წინასწარი განაცხადი უკვე შეადგინა. ბრაზილიელმა მსოფლიო ჩემპიონმა, ექსპერტების აზრით, კარგად გაუგო პორტუგალიურ ფეხბურთს. მის მიერ შედგენილ სიაში, რომელიც უეფას 15 მარტამდე უნდა წარედგინა, 35 ფეხბურთელის გვარი უნდა შევიდეს, შემდეგ კი მათგან 23 დარჩება და სწორედ ისინი მიიღებენ მონაწილეობას ევროპის პირველობაზე.**

სკოლარის სიტყვით, იგი დაეყრდნობა იმ ფეხბურთელებს, რომლებიც იღებენ მის სამწვრთნელო იდეებს, კარგად ითვისებენ მათ. თუკი ნაკრების კანდიდატი, წარსულში როგორი დიდი დამსახურებაც არ უნდა ჰქონდეს, არ განიმსჭვალა გუნდური სულისკვეთებით, შეიძლება დარწმუნებული იყოს, რომ საბოლოო სიაში ვერ მოხვდება.

## ჩეხების 6 მატჩი

**ჩეხეთის ნაკრების მოსამზადებელ გეგმაში ევროპის ჩემპიონატის წინ 6 მატჩია დასახელებული.** აქედან მათ უკვე ითამაშეს პალერმოში იტალიელებთან (2:2), 31 მარტს კვლავ სტუმრად ითამაშებენ ირლანდიელებთან, 28 აპრილს მიიღებენ იაპონელებს, 28 მაისს ლიჰტენშტაინში ითამაშებენ ავსტრიელებთან, 2 ივნისს პრაღაში ბულგარელებთან, 6 ივნისს ტეპლიცეში – ესტონელებთან.

## სპეკულანტებს არავინ გაახარებს

**ინგლისური ინტერნეტ-საიტი, „სპორტსმონდიალ-კომი“ ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის ბილეთებს კი ჰყიდის, მაგრამ სპეკულაციისთვის პასუხისგება მოელის. ბილეთების პაკეტი „მიჰყევი ჩემს გუნდს“, რომელიც ერთი ნაკრების ყველა მატჩის (თუ ფინალში გავა, ექვსის) დასწრებას ითვალისწინებს, სინამდვილეში 950 ევრო ღირს, მაშინ როცა მხოლოდ შესარჩევი ჯგუფის სამი შეხვედრისათვის, საიტის მიხედვით, 1400 ევროა დაწესებული.** როგორც ევრო-2004-ის ორგანიზატორებმა განაცხადეს, ყველა ორგანიზაცია, რომელიც ბილეთებს ჰყიდის, საგანგებოდ შემოწმდება.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გაზეთი

7 მარტი, 2004 წელი.

№1 (51)

საქართველოს რესპუბლიკა

ყოველთვიური დამატება



საქართველოს ეროვნულ გმირს, გამოჩენილ სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეს, აღმაშენებლობითი საქმიანობის ნიჭიერ და უბადლო ორგანიზატორს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ღირსეულ შვილს ჟიული შარტავას 7 მარტს 60 წელი შეუსრულდებოდა...

# ზვარაკად შეეწირა სამშობლოს მთლიანობას



ხშირად გარემოება აიძულებს ადამიანს, თავი გაწიროს ქვეყნისთვის, ხალხისთვის. მათ ხსოვნას თითოეული ჩვენგანი გულის ფიცარზე ატარებს, მაგრამ ასჯერ უფრო დასაფასებელია თავგანწირვა მათ მხრიდან, ვინც ცნობიერად აკეთებს არჩევანს და დგება იქ, სადაც სამშობლოს ყველაზე მეტად უჭირს.

სწორედ ამ გამორჩეულთა რიცხვს მიეკუთვნება ჟიული შარტავა. ადამიანი, რომლის მიმართაც სიტყვა გმირი პათეტიკურად კი არ ჟღერს, არამედ მხოლოდ ასახავს მის რეალურ ღვაწლს სამშობლოს წინაშე.

ბატონ ჟიულისთან პარლამენტში მისი მოღვაწეობის დროსაც საკმაოდ თბილი ურთიერთობა მქონდა. თავისი უნიკალური გამოცდილების მიუხედავად, ის თითქოს ხელახლა სწავლობდა, საკუთარ ადგილს იმკვიდრებდა ახალ საქართველოში. ჩემსავით სრულიად ახალგაზრდა კაციც კი მისგან ვერასოდეს იგრძნობდა ამპარტავნობას, ქედმაღლობას. საოცარი სიყვარულით ემსახურებოდა რუსთავს, როგორც მაჟორიტარი დეპუტატი და დიდებულად წარმოადგენდა საკუთარ საარჩევნო ოლქს, ამომრჩეველთა ტკივილებსა და იმედებს.

ომის ქარ-ცეცხლში გახვეულ სოხუმში სრულიად სხვა ჟიული შარტავა დადგა ჩემს წინაშე. საოცარი სიმშვიდით, გონებისა და ნებისყოფის მობილიზებით, სევდიანი იუმორის გრძნობით, რომელიც ყველაზე მძიმე წუთებშიც არ ღალატობდა. იგი სოხუმსა და აფხაზეთის მინისტრთა საბჭოში გამეფებულ ვნებათაღელვაზე (ხშირად პანიკურ განწყობილებაზედაც) ბევრად მაღლა იდგა და თითქოს მწვერვალიდან დაჰყურებდა თავის თანამებრძოლთა განცდებს, ემოციების დუღილს, მაგრამ ამ სიმშვიდის მიღმა საოცარი ტკივილი იგრძნობოდა, ტკივილი იმის გამო, რომ ვერც აფხაზეთისთვის ბრძოლამ გააერთიანა ქართველობა, ვერ შეაჩერა გაუტანლობისა და ღალატის ის ტალღა, რომელმაც აზვირთებულ ტალღასავით გადაუარა საქართველოს. მე შევსწრებივარ მის საუბრებს სხვადასხვა ჯგუფის ხელმძღვანელებთან, რომლებსაც ემუდარებოდა, ჩამოსულიყვნენ ალყაშემორტყმული სოხუმის დასაცავად, ცდილობდა შეეკრიბა თითო-თითო კაცი აფხაზეთის დედაქალაქის მისადგომების გადასაკეტად.

თბილისიდან თითქმის ყოველდღე ვურეკავდი. ტრადიციულ შეკითხვაზე – როგორ ბრძანდებით, ბატონო ჟიული? – სევდანარევი იუმორით მიპასუხებდა: აი, ახლა მეათე სართულის ფანჯარასთან ვდგავარ, შემოვარდნილ ყუმბარებს ხელით ვიჭერ და გარეთ ვყრიო.

არ მიყვარს მაღალფარდოვანი სიტყვები, მაგრამ ჟიული შარტავა ჩემთვის, მართლაც, უდიდესი ქართველების რიგში დგას ცოტნე დადიანის გვერდით. კოლხეთის მიწის შვილმა ცნობიერად, თავისი ნებელობითი არჩევანით ქართველთა გაუტანლობის ეპოქაში ზვარაკად შესწირა თავი სამშობლოს მთლიანობას.

**ზურაბ ჟვანია.**

# ბაგრატ III საფლავთან

ბედიის გადასახვევთან, სოფელ აჩიგვარაში, მან მანქანის შეჩერება ითხოვა და წუთიერი დუმილით მოწიწება გამოხატა ქართველ-აფხაზთა მეფის, საქართველოს უსისხლოდ გამაერთიანებლის – ბაგრატ III მიმართ, რომელმაც ააშენა ბედიის დიდებული ტაძარი, გარდაიცვალა ტაო-კლარჯეთში, მაგრამ დაკრძალვა ინება საბედიანოში, დედამისის, აფხაზი ქალბატონის, გურანდუხტის გვერდით.

ბავშვური სიწრფელით მომითხრობდა ჟიული შერვაშიძეთა გენეალოგიას, მათს დამსახურებებს სრულიად საქართველოს წინაშე, დიდხანს შეჩერდა ხუტუნია შერვაშიძის გმირობაზე, რომელმაც 16 თურქის განგმირვის შემდეგ თავადაც დადო თავი ქართველებისა და აფხაზებისათვის. აი, ეს იყო თითქოს ახლახან, რამდენიმე ათეული წლის წინათ... ქართველები ვიხოცებოდით აფხაზებისთვის, აფხაზები – ქართველებისთვის! ახლა კი...

შემიძლია თითქოს ზუსტად აღვიდგინო მისი ნათქვამი: „პოლიტიკა მავანის ხელში სათამაშოა, ნერონისთვის – ნაჯახი, დიდი პოლიტიკოსისთვის კი – ქვეყნის აწმყო და მომავალი. რაც შემეხება მე, ჩემი ნამდვილი სახე ჩემი სიკვდილის დროს გამოჩნდება". ეს ისე, სხვათა შორის თქვა, მაგრამ შევცბი, რაც შეუმჩნეველი არ დარჩა და გამიღიმა.

სოხუმში გვიან ღამით დავბრუნდით.

**ვახტანგ ყოლბაია.**

# სრულიად საქართველოს დიდი ჭირისუფალი



ჟიული შარტავას პირველად 1961 წელს შევხვდი. ჩვენ მაშინ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტები ვიყავით. იგი იმთავითვე გამორჩეული იყო თავისი ნიჭიერებით, საოცარი შრომისმოყვარეობითა და მიზანსწრაფვით, იცოდა მეგობრობისა და ერთგულების ფასი; უდიდეს პატივს მიაგებდა სიდინჯესა და ზომიერებას.

ჟიული, როგორც ახალგაზრდობის ლიდერი, სწორედ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩამოყალიბდა. ხასიათის სიმტკიცემ, ვაჟკაცურმა სულიერებამ და ბუნების დიდი კანონებისადმი პატივისცემამ აამაღლა იგი თანატოლების თვალში.

40 წელზე მეტ ხანს გაგრძელდა ჩვენი მეგობრული ურთიერთობა. მთელი ამ ხნის მანძილზე იგი სისხლხორცეულად იყო დაკავშირებული მშობლიურ უმაღლეს სასწავლებელთან, სადაც აღიარება ჰპოვა, როგორც ღირსეულმა მოღვაწემ და მეცნიერმა. რთულმა ცხოვრებისეულმა წრთობამ მოაპოვებინა ჟიულის იმის უფლება, რომ ერის სახელით ელაპარაკა. მოქალაქეობისა და მამულიშვილობის ეტალონად დარჩა იგი სიცოცხლის ბოლო წუთამდე, აფხაზეთის ტრაგედიის ჟამს ჟიულის თავგანწირვა ხომ ქართული სულის უკვდავება და სამშობლოსთვის თავდადების უპრეცედენტო მაგალითი იყო. მან მთელი ჩვენი თაობის ვალი მოიხადა ერის წინაშე.

ნაადრევად, ძალიან ნაადრევად დატოვა ჟიულიმ თავისი ხალხი, ქვეყანა, საყვარელი ოჯახი, დაიწყო მისი მეორე სიცოცხლე, რომელიც უსასრულოდ გაგრძელდება და რა ბედნიერია ის თაობა, რომელიც მომავალ საუკუნეში ჟიულის უკვდავ სულთან ერთად იცხოვრებს.

ჟიული სრულიად საქართველოს დიდი ჭირისუფალი იყო, ამიტომაც ატარა მისი ცხედარი ახალგაზრდობამ უკანასკნელ გზაზე ხელით. უდიდესი სიყვარული და პატივი ერგო ჟიული შარტავას და ეს სიყვარული და პატივისცემაა მისი უკვდავი ანდერძიც მომავალი საქართველოსადმი.

**რამაზ ხუროძე.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

# „ლია, ჩემი საბუთები და სურათები „დიპლომატშია“, თუ რაიმე მოხდა, ღირსეულად მიტირეთ“...

თავდაპირველად, როცა მისი სოხუმში სამუშაოდ გადასვლა გადაწყდა და შინ მოვიდა, ბუნებრივია, აფორიაქებული შევხვდი ამ ამბავს, თუმცა მისთვის არაფერი მითქვამს. აღელვება შემატყო და მითხრა: „ლია, სოხუმში წაუსვლელობა არ შეიძლება, ჯობს, ამ ომს შევეწირო და მომავალი თაობა გადავარჩინო. ჩვენი თაობა ისედაც ვალშია მათ წინაშე“.

ბევრი უსიამოვნო ზარი მახსოვს, მაგრამ 16 სექტემბრის დილის 5 საათის ზარს ვეღარ ამოვშლი მეხსიერებიდან. ყურმილი ავიღე, ტელეფონთან ქიულის სთხოვდნენ. უსიამოვნო გრძნობა დამეუფლა, სოხუმიდან რეკავდნენ. ყურმილი გადავეცი, თან ქიულის შევცქეროდი, ის თანდათან გაფითრდა, სუნთქვა გაუხშირდა და, მიუხედავად ამისა, მაინც საოცარი სიმშვიდით იძლეოდა პასუხებს, განკარგულებებს, შემდეგ მომიბრუნდა და მითხრა: „ლია, ცხოვრებაში ჩვენ ბევრი გაჭირვება გამოვეცადეთ და ახლა ესეც უნდა ვნახოთ“. უკვე ვიცოდი, რომ სოხუმი იბომბებოდა. ოთახიდან გავედით, კარებთან ერთმანეთს დავემშვიდობეთ. გასვლის წინ მითხრა: „ჩემი საბუთები და სურათები „დიპლომატშია“, თუ რაიმე მოხდა, ღირსეულად მიტირეთ“.

გაცილება არ უყვარდა, აივნიდან გადავხედე, მე უკვე ვტიროდი. ქიულიმ ამოიხედა, შევატყვე, რომ თვალები ცრემლიანი ჰქონდა, ხელი დამიქნია და წავიდა...

სულ მეკითხებიან: „რატომ წავიდა ქიული სოხუმში?“

ამ კითხვას ქიულის სიტყვებით გავცემ პასუხს: „რაც ვარ, ესა ვარ დადებითით და უარყოფითით, ცოდვებითა და უცოდველობით. მე ვდგავარ ერთ პოზიციაზე — რაიმე კონკრეტული სარგებლობა მოვუტანო ჩემს ერს“...

**ლია შარტავა-ჯალაღონია.**



ქიული შარტავა მეუღლესთან ერთად.

# «ქიული შარტავა» შეეხმის ტალღებს

ჩვენი ქვეყანა განვითარების უაღრესად მნიშვნელოვან ეტაპზე იმყოფება.

ასეთ დროს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის ეკონომიკური აღორძინებისა და ხალხის სულიერი გაჯანსაღების მიზნით გადადგმულ პრაქტიკულ ნაბიჯებს, ყველა კონკრეტულ საქმეს, რომელიც რეალური ოპტიმიზმის საფუძველს ქმნის.

ამ თვალსაზრისით, უდავოდ, მნიშვნელოვან მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს 7 იანვარს, სამხრეთ კორეის ქალაქ ულსანის „ჰუნდაი მიპო“ გემთსაშენში დამოუკიდებელი საქართველოსთვის აშენებული პირველი ტანკერის — „ქიული შარტავას“ წყალში ჩაშვება.




ესაა იმ დიდი შრომისა და ორგანიზატორული საქმიანობის შედეგი, რაც უკანასკნელ წლებში გასწია საქართველოს საოკეანო სანაოსნომ მისი გენერალური დირექტორის გურამ დოლბაიას ხელმძღვანელობით.

სწორედ მას ეკუთვნის გემისთვის ქიული შარტავას სახელის მინიჭების იდეა.

იგი აფხაზეთის ომის მონაწილეა და მას კარგად აქვს გაცნობიერებული, რას ნიშნავს ქვეყნისთვის ბრძოლა და მისთვის თავდადება.

როგორც ქიული შარტავას ფონდის ხელმძღვანელს, საქართველოს დელეგაციის სხვა წევრებთან ერთად საშუალება მქონდა მონაწილეობა მიმეღო ტანკერ „ქიული შარტავას“ ნათლობის ცერემონიალში და უშუალოდ განმეცადა ის სიხარული და სიამაყე, რაც ასეთ მოვლენასთან არის დაკავშირებული.

მივდივართ იმ ადგილზე, სადაც თითქმის დასრულებული ტანკერი „ქიული შარტავა“ დგას და თავის საზეიმო ნათლობას ელოდება. სიხარულის გრძნობა გვეუფლება, როცა გემის სამართავი ნაწილის თვალსაჩინო ადგილზე, ბორჯღალის ფონზე, ქართულ წარწერას — ქვეყნისთვის თავდადებული მამულიშვილის სახელს ვკითხულობთ. ადგილობრივი დროით 9 საათსა და 24 წუთზე ნიკოლოზ ჩუბინიშვილმა, ასმათ აბესაძემ და გურამ დოლბაიამ შეასრულეს გემის „მონათვლის“ ტრადიციული რიტუალი, — თოკზე ჩაბმული შამპანურის ბოთლი გემის მარჯვენა ნაწილის მიმართულებით გაუშვეს. შეჯახებისას ბოთლი გასკდა და მისმა ხმამ ახალი ქართული გემის დაბადება გვამცნო.

> **ქიული შარტავასთვის ჭეშმარიტ აფხაზს არ უსვრია. მის მაღალ ზნეობრივ მრწამსს იმ ბოროტმა ძალამ ესროლა, რომელიც აფხაზთა და ქართველთა საერთო მტერია.**
>
> **ზურაბ ერქვანია.**

ქღერდა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი. გემის მარჯვენა მხარეს ქართული წარწერა გაჩნდა — „ქიული შარტავა“. მასპინძლებმა გულითადად მოგვილოცეს გემის დაბადება. მალე ტანკერის კორპუსის ქვედა ნაწილი წყლით დაიფარა, რაც იმის მაუწყებელია, რომ იგი უკვე საზღვაო სივრცის ნაწილია.

მალე სეინერი სამხრეთ კორეიდან მშობლიური ქვეყნის ნაპირზე ჩაუშვებს ღუზას. დადგება დრო, „ქიული შარტავა“ აფხაზეთშიც დაბრუნდება, სოხუმის ნავსადგურსაც მიუახლოვდება, როგორც ქართველთა და აფხაზთა მრავალსაუკუნოვანი ძმობის, მეგობრობის და ქვეყნის ერთიანობის სიმბოლო.

**როზერტ ღარიბაშვილი,**
**ქიული შარტავას ფონდის პრეზიდენტი.**

# ქიული შარტავა — ჩვენი დროის ჭეშმარიტი გმირი

როდესაც მშვიდობიან დროს თანამშრომლობ ადამიანთან — ეს ერთია, მაგრამ სულ სხვაა, როდესაც მასთან დღე და ღამე საგანგებო მდგომარეობის პერიოდში მუშაობ. იმ უმძიმეს სიტუაციაში ქიული შარტავაში დავინახე ჭეშმარიტი პატრიოტი, რომელიც მზად იყო, კონფლიქტის მშვიდობიანი გადაჭრისათვის შეუძლებელი გაეკეთებინა. ქიული იყო პიროვნული და არა სამსახურებრივი ავტორიტეტი.

სოხუმის დაცემის დღეს ქიული შარტავამ აპარატის ოპერატიული თათბირი ჩაატარა. მისი კაბინეტიდან სულ ბოლოს მე და აფხაზეთის მრეწველობის მინისტრი რაულ უშბა გამოვედით. ამ დროს გაისმა ეკლესიის ზარების რეკვა. ქიულიმ შეგვაჩერა, მოძებნა სამი სანთელი, თითო-თითო ჩვენ მოგვცა და თქვა: „მოდით, ვილოცოთ მომავალ დღეზე“... და ჩვენ სამმა, ერთმა ქართველმა და ორმა აფხაზმა, ქრისტიანულად გადავიწერეთ პირჯვარი, ღმერთს დახმარება და კურთხევა შევთხოვეთ, მაგრამ, საუბედუროდ, აღმოჩნდა, რომ ღმერთსაც დიდი პიროვნებები სჭირდება.

ადამიანებს, რომლებიც მხეცურად გაუსწორდნენ ქიული შარტავას, ვერაფერს ვუწოდებთ, თუ არა XX საუკუნის მიწურულის ბარბაროსებს. ქიული შარტავას სახით მათ მოკლეს არა მარტო ნათელი პიროვნება, გამოჩენილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, არამედ კაცი, რომელიც განასახიერებდა მაღალ მორალურსა და ზნეობრივ თვისებებს, თანმიმდევრულად იბრძოდა აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი, პოლიტიკური მოწესრიგებისთვის, ჩვენს ხალხებს შორის ურთიერთგაგებისა და ერთიანობის აღდგენისთვის, ქართული სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და აყვავებისთვის.

გმირები არ კვდებიან. ისინი მრავალი თაობის ხსოვნასა და შეგნებაში ცოცხლობენ.

**ლორიკ მარშანია.**



სტუმრად ილია ვეკუასთან. 1975 წ.

# „სიცოცხლე უნდა ქარიშხალს ჰგავდეს, მეხის გავარდნას ჰგავდეს სიკვდილი“

მისი სიცოცხლე ნამდვილ ქარიშხალს ჰგავდა, მეხის გავარდნასა და ზეცის ჩამონგრევას გაუტოლდა მისი სიკვდილი. იმდროინდელ პრესაში წერდნენ, რომ ის დაიღუპა ბრძოლის ველზე, გმირი, რიგითი ჯარისკაცივით. დიახ, ეს მისი ხელწერა გახლდათ, მისი ცხოვრება იყო უღალატობა, სინაღდე, სიწმინდე, თავდადება და თავგანწირვა. არც ერთი თანამდებობა მას შემთხვევით არ მიუღია, აგზავნიდნენ იქ, სადაც ყველაზე დიდი სირთულე და პრობლემები არსებობდა, რადგან სჯეროდათ, რომ ყოველთვის იმაზე მეტს გააკეთებდა, ვიდრე ელოდნენ, იცოდნენ, რომ რიგითი ჯარისკაცივით, თავდაუზოგავად იშრომებდა და უნიჭიერესი მხედართმთავარივით უხელმძღვანელებდა.



შაბათობაზე თბილისის შემოგარენში. 1972 წ. მარცხნიდან: მურთაზ მამისეიშვილი, რევაზ ნაცვლიშვილი, რამაზ აბაშიძე, ქიული შარტავა, ჯემალ კუხალაშვილი, კაკო ვაშაკიძე.

შემთხვევით როდი ამბობდა ჩვენი წინაპარი, „ერთი კაცია სოფელიო“ და ბრძნულ საგალობელს მოთქვამდა: „სოფელს ატირდა დედანი, სოფლის თავკაცი კვდებაო, დამბადებელო, ნუ მოჰკლავ, სოფელი წაგვიხდებაო“.

ვინ იცის, მართლაც, რამდენი რამ წახდა ჩვენს ბედკრულ ქვეყანაში ქიულის სიკვდილის გამო, ვაგლახ, რომ ბოროტმა მტერმა იცოდა, რას სჩადიოდა, რა გამოუსწორებელ ზიანს აყენებდა მომავალ საქართველოს.

90-იან წლებში, როცა დიპლომატიური აკადემიის დამთავრების შემდეგ იგი მოსკოვიდან დაბრუნდა და სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა, შევხვდით მასთან კაბინეტში, რამდენიმე საათს ვისაუბრეთ, ბევრი რამ გავიხსენეთ.

სერიოზულობა და ჭკუა არასდროს აკლდა, მაგრამ ამ დროს ვიგრძენი, რომ მესაუბრებოდა თავის სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული, დაბრძენებული პიროვნება, რომელიც ალალი გულისტკივილით განიცდიდა იმ უსამართლობას, რის გამოც იძულებული გახადეს აქედან გადახვეწილიყო. მიუხედავად იმისა, რომ საკავშირო ორგანოებში უდიდეს თანამდებობებს სთავაზობდნენ, მას პირად კეთილდღეობაზე არ უფიქრია, მოაშურა მშობლიურ კერას და ასეთი რამ მითხრა: „შენ მაინც ხომ იცი, ვინ ვარ და რით ვსულდგმულობ, ჩემთვის არავითარი თანამდებობა რომ არ შემოეთავაზებინათ, მაინც აქ ჩამოვიდოდი, რათა ჩემი ცოდნა, გამოცდილება და, თუ საჭირო იქნება, სიცოცხლეც კი, ჩვენი საყვარელი ქვეყნის დამოუკიდებლობას მოხმარებოდა“. სიტყვის კაცი იყო და შეასრულა კიდეც თავისი სიტყვა.

**ჯემალ კუხალაშვილი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

# არცერთი აუწონავი და გაუზომავი ნაბიჯი

დღეს 60 წელი შეუსრულდებოდა საქართველოს სასიქადულო შვილს, უახლესი ისტორიის თვალსაჩინო მოღვაწეს, ჩვენი და მომავალი თაობებისათვის საამაყო ადამიანს, სამშობლოსათვის თავდადებულ და გულანთებულ ვაჟკაცს ჟიული შარტავას.

ჩვენი ქვეყნის ისტორია მრავალ თავდადებულ და სამშობლოსათვის განწირული ადამიანის ხსოვნას ინახავს. სწორედ მათი ცხოვრება და მოღვაწეობა არის მომავალი თაობის სულიერი წყარო, სწორედ ასეთი პიროვნებები ასაზრდოებენ ახალგაზრდობის სამშობლოს სიყვარულის სულისკვეთებას, იმ უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობას, რასაც საკუთარი ქვეყნის ისტორიის, კულტურისა და ეროვნული ტრადიციების მოვლა-პატრონობა წარმოადგენს.

ჟიული შარტავა თავისი ლამაზი, ხანმოკლე ცხოვრებით მაგალითია ყველასათვის. ბრწყინვალე მოსწავლე, ჩინებული სტუდენტი, ახალგაზრდობის უდავო ლიდერი, განათლებული და მშრომელი მოღვაწე, თავმდაბალი და კაცთმოყვარე ადამიანი.

ჩვენს მეხსიერებაში ყველაზე უფრო მძიმე, იმ ავადსახსენებელ სამოქალაქო ომში თუ რუსული იმპერიის უპრეცედენტო აგრესიის პერიოდში, რომელსაც ქართულ-აფხაზური კონფლიქტი ეწოდა, ჟიული შარტავა წარმოგვიდგა, როგორც ერის სინდისი, გონება და პატიოსნება. არცერთი აუწონავი და გაუაზრებელი ნაბიჯი არ გადაუდგამს და უამრავ განწირულ ადამიანთან ერთად, რომლებიც მრავლად იყვნენ ორივე მხარეს, ქართველი კაცისთვის ყველაზე ძვირფასი სამშობლოს სამსხვერპლოზე შეგნებულად დათმო ის, რაც ყველაზე ძვირფასია ადამიანისათვის — სიცოცხლე. ჟიული შარტავამ უპატრონოდ ვერ დატოვა უმწეო ადამიანები, არ იკადრა საკუთარი თავის გადასარჩენად გამოპარვა, სიმხდალე, გამოქცევა. ჟიულის გენში უხვად ჩადებულმა ვაჟკაცობამ მთელ მსოფლიოს დაანახა, რომ ქართველი კაცი ბრძოლაში კვდება. ჟიულიმ ღირსეული გადაწყვეტილებით მთელი ქართველი ერის ვალი მოიხადა.

დრო კიდევ უფრო მეტად დააფასებს ჟიულის გმირობას. მისი სახელი უკვდავია. ქართველი ერი ყოველთვის ქედს მოუხრის და უდიდესი მადლიერებით მოიგონებს ჟიულის სახელს, მის ღრმად შინაარსიან, მართალ ცხოვრებასა და მოწამებრივ აღსასრულს.

ნათელი დაადგეს მის უკვდავ ხსოვნას!

**ნიკო ჩხაიძე.**



სტუმრად ლადო გუდიაშვილთან, 1979 წ.

# პატარა სამშობლო პატიოსან გულში

ათეული წლები ერთად მოვდიოდით. სენაკის პედაგოგიური ტექნიკუმის საბაზო დაწყებით სასწავლებელში შევხვდით ერთმანეთს. ეს იყო 1952 წელს. ჩვენი მეგობრობა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გაგრძელდა. მეცნიერების ამ დიდ ტაძარში ჩამოყალიბდა ჟიული შარტავა, როგორც სპეციალისტი და პიროვნება, აქ გაიარა კაცობის დიდი სკოლა.

ჟიული შარტავამ თავისი წინაპრებისგან მემკვიდრეობით მიიღო რაინდული ხასიათი, ჰარმონიულად შეზავებულ ვაჟკაცურ გარეგნობასთან: პირდაპირობა და ერთგულება, გულკეთილობა და სხვაზე ზრუნვისა და ყურადღების ამოულეველი გრძნობა, რომელიც ადამიანთა შეკავშირებისა და დაახლოების ყველაზე სანდო გზაა. ამ თვისებებმა ბუნებრივ ნიჭთან ერთად, ჩამოაყალიბა იგი არა მარტო მაღალი კვალიფიკაციის ინჟინერ-მკვლევარად, არამედ დიდბუნებოვან და უშიშარ წინამძღოლად, ჭეშმარიტ საზოგადო მოღვაწედ. მას ყველა მონაცემი ჰქონდა ნამდვილი აღმაშენებლისა და შემოქმედისა. მის ხასიათში მეტად ფასეული იყო ლიდერის გადამჭრელი მოქმედების უნარი; კარგად ესმოდა, რომ შიშსა და გაუბედაობას გადამწყვეტ მომენტში გამოუსწორებელი ზიანი შეიძლებოდა მოჰყოლოდა. ჟიულის დიდმა შემოქმედებითმა ნებისყოფამ იმაში ჰპოვა თავისი გამოვლენა, რომ სწორედ ცხოვრების ძნელ მონაკვეთებში შესძლო თავისი აღმშენებლობითი მისიის წარმატებით შესრულება. არა წყენა და მისი დამახსოვრება, არამედ ახალი ენერგიით განუხრელი წინსვლა — ეს იყო მისი მოქალაქეობრივი კრედო, სიძნელეს არასოდეს შეუშინებია მისი დიდი გული, არასოდეს გაუტეხია და ყოველთვის იმედიანად შეჰყურებდა მომავალს. შევხვედრივარ იმ მომენტში, როდესაც მას სულიერად უჭირდა კიდეც. ვცდილვარ გული გამეკეთებინა, მაგრამ მას მე დავუმშვიდებივარ, თითქოს მეუბნებოდა: ვაჟკაცსა გული რკინისა, აბჯარი თუნდაც ხისაო.

„რაც გინდა პატარა იყოს სამშობლო, პატიოსანს გულში დიდი ადგილი უჭირავსო", — ილიასეული ეს მოძღვრება იყო ჟიულის ცხოვრებისა და მოღვაწეობის წესი. დაამტკიცა კიდეც ქვეყნის ძნელბედობის ჟამს. გასაოცარი სიძლიერით გამოანათა მისმა რაინდულმა სულმა, როდესაც მოღალატემ სასიკვდილო ტყვია ესროლა. მაგრამ მტერი მწარედ შეცდა. მან ვერაფერი ავნო ჟიულის წმინდა სულს, რომელიც ზეციურ საქართველოში ღირსეულ მამულიშვილთა სულებს შეუერთდა.

გაივლის წლები. თაობები თაობებს შეცვლიან. მაგრამ წიგნი ჟიულის ამქვეყნიურ ცხოვრებაზე არასოდეს დაიხურება. მას ბევრი, ძალიან ბევრი ნათელი ფურცელი შეემატება და გადაიქცევა მომავალი თაობებისთვის უკვდავების წიგნად ქართველ, კოლხ კაცზე, რომელიც ქვეყნისა და ერისთვის გმირულად ეწამა და რომლის სახელია ჟიული შარტავა.

**შალვა ნაჭყებია.**

> **სიმართლით** წელგამართულმა იარა ჟიული შარტავამ ყველა თანამდებობაზე. ყველგან დიდი საქმეები აკეთა, ლამაზად იცხოვრა და ეს ლამაზი სიცოცხლე გმირული სიკვდილით დააგვირგვინა.
>
> სწორედ მისნაირ აღსასრულს ჰქვია სამშობლოსთვის სიკვდილი... სხვებმა შესცოდეს, მათ მაგივრად კი გოლგოთაზე, ქრისტესავით, ჟიული შარტავა ავიდა.
>
> ჟიული შარტავას ფენომენი უზადო მკვლევარს ელის.
>
> **გურამ ახალაია.**



ირაკლი აბაშიძესთან ერთად, 1979 წ.

> **საოცრად** დიდი იყო ჟიულის მცდელობა — მშვიდობა დაემყარებინა აფხაზეთის მიწაზე; ავტომატებზე, არტილერიის ჭურვებსა და სანგრების გათხრაზე კი არ გვეზრუნა, არამედ აფხაზეთის ქალაქები და სოფლები გვეშენებინა.
>
> საკითხავია, ბოლომდე იცის ჩვენმა ქვეყანამ, ვინ დაკარგა მან 49 წლის ჟიული შარტავას სახით?
>
> **მურად ანჯაფარიძე.**

# სანახევროდ საქმის კეთება მას არ შეეძლო

ჟიული შარტავა 1961 წლის სექტემბერში გავიცანი. მაშინ, როცა მისმა თანატოლებმა კურსის ლიდერად აირჩიეს. იმ დღიდან დაწყებული, იგი მთელი მონდომებითა და სიყვარულით ასრულებდა ყოველგვარ საზოგადოებრივ დავალებას (მრავალი საქმის მოთავე ხშირად თვითონ იყო). წარჩინებულ სწავლას შესანიშნავად უხამებდა ახალგაზრდული ორგანიზაციის წინამძღოლობას. მას ნახავდით ყველგან, სადაც პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტობა იყო გაგზავნილი (შიგა და გარე ყამირი, სამშენებლო რაზმები და სხვა).

ჟიულის, დასავლურ იუმორთან ერთად, სრული სერიოზულობა, პრინციპულობა, ახალგაზრდა კაცის ესოდენ საქმიანი შემართება ახასიათებდა. ზოგიერთს მოჩვენებითობად და კარიერისტობად მიაჩნდა, სინამდვილეში კი მას უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა ჰქონდა, რომლისთვისაც სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე არ უღალატია.

მახსოვს, გარკვეულ პერიოდში იგი ინჟინერ-მშენებლებს დაუახლოვდა. ეს იყო მაშინ, როდესაც თავის მეგობართან, ასევე დიდად ნიჭიერ და პატრიოტ კაცთან, მამუკა ასლანიკაშვილთან ერთად ახალგაზრდული ქალაქის მშენებლობა ითავა. უნდა გენახათ, როგორი აღტაცებული იყვნენ მშენებლები მათი კომპეტენტურობით, სიტყვისკაცობით, დაუზარელობით, დაუშრეტელი ენერგიით, გონებამახვილობით, საქმის ღრმა წვდომითა და მამულიშვილობით.

სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე ჟიულის მისმა თანაკურსელმა საკმაოდ ტაქტიანად უთხრა, სოხუმში დიდი დაძაბულობაა და ამიტომაც ცოტა თავს მოუფრთხილდი, შენებურად ნუ შეებმები ყველას და ყველაფერსო. ჟიულიმ ირონიულად გადახედა, ჩვენ კი გვითხრა: თქვენ ხომ კარგად მიცნობთ, სანახევროდ საქმის კეთება არ შემიძლიაო.

ზემოთ ნათქვამი მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა, როდესაც ძალზე მოკლე დროში შესანიშნავად დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მისი უფროსი მეგობრის, პროფესორ ნოდარ ლომინაძის თანადგომით ასევე თავგამოდებით გააგრძელა მუშაობა სადოქტორო დისერტაციაზე, მაგრამ... ჩვენ იმედი გვაქვს, მის დაწყებულ საქმეს ისეთივე ერთგულებით გააგრძელებს ბაბუას ტრაგიკული დაღუპვის შემდგომ დაბადებული პატარა ჟიული შარტავა.

ძალიან ძნელია მოკლე წერილში ყველაფერის გადმოცემა. ამიტომ ასე ვიტყოდი, ჟიული შარტავა ის კაცი იყო, რომელმაც „თვისტომთა ხელით ნაჭედი თავზე აიღო მარცხი".

**მერაბ თევზაძე.**



პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა აქტივის წარმომადგენლები. სხედან (მარცხნიდან): ჟიული შარტავა, მერაბ მზელაძე, რამაზ ზოზლიძე, ასლან ცივაძე; დგანან (მარცხნიდან): ზრიშა შონია, ნუგზარ ნანეიშვილი.

> **სიკვდილი** ყოველთვის არ არის სიკვდილი, ის ზოგჯერ გვირგვინია, რომელიც წამებულის სხეულსა და მსხვერპლად შეწირულ სულს შარავანდედად ადგას.
>
> დაუვიწყარია ჟიულის მადლობის თქმის უნარი, რომელსაც სითბოთი აღვსილი თვალებით გამოხატავდა. გამორჩეული ტონით ნათქვამი სიტყვები: „მე მადლობელი ვარ შენი, მერაბ!" მასთან მუშაობა ყოველთვის უდიდეს სიამოვნებასა და სტიმულს მანიჭებდა. მადლობელი ვარ ჟიულისი ოცი წლის განმავლობაში მონიჭებული უამრავი დადებითი ემოციისათვის, მადლობელი ვარ ბედის, რომელმაც ამ ხნის განმავლობაში მის ახლოს ყოფნა მარგუნა.
>
> სინდისის სამსჯავროზე კი ყველას საკუთარი დანაშაული დარჩება სასჯელად.
>
> **მერაბ ასანიშვილი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 55, კვირა, 7 მარტი, 2004 წელი.

# ანდერძი



შთამომავლობის სახელით.

**ქიული შარტავას არქივში ერთი ხელნაწერი აღმოჩნდა. იგი 1992 წლის მარტის თვით არის დათარიღებული. ოჯახის წევრებს მიაჩნიათ, რომ ეს წერილი მხოლოდ მათთვის არის განკუთვნილი და არა ფართო საზოგადოებისთვის.**

**აი, ეს წერილიც, უფრო სწორედ, მისი რამდენიმე ფრაგმენტი.**

„... ამ საქაღალდეში არსებული დანაზოგი კახას და ირაკლის – ჩემი სიკვდილის შემთხვევაში. ეს არის დანაზოგი სადეპუტატო, სამკურნალო და დახმარება. მეტს ვერაფერს გიტოვებთ, მაგრამ ღმერთი მოწყალეა და გფარავდეთ, ამინ!

ეს ის თანხაა, რომელსაც მე ვინახავდი „შავი დღისთვის". ეს დღეც თუ დადგა, არ მიწყინოთ, დამიტირეთ, მაგრამ გული არ გაიტეხოთ. ჩვენს სახლში იქნება არაერთი ზეიმი, უნდა იქნეს... აბა, თქვენ იცით...

მე დარწმუნებული ვარ, რომ ციცოს, გიგის და ლევანს კახა და ირაკლი ყურადღებას არ მოაკლებენ. რაფისა და ლამასთან მათი ძმობა იქნება უანგარო, როგორც იყო ჩემსა და სოსოს, ჩემსა და ციცოს, ჩემსა და ბონდოს შორის.

მჯერა, რომ ყურადღებასა და სითბოს არ მოაკლებთ ბებიებსა და ბაბუას. მათი დამსახურება ჩვენს წინაშე განუსაზღვრელია. ყურადღებას არ მოაკლებთ სოსო ბიძიას, ციცო მამიდას, ბონდო ბიძიას, ყურადღებას არ მოაკლებთ ჩვენს საგვარეულო საფლავებს... მე მჯერა, რომ შარტავებისა და ჯალაღონიების (მისი მეუღლის) ჯიში ისეთია, რომ წვრილმან რამეზე კინკლაობა უცხოა მათთვის. დიდი პრობლემებიც კი აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, მშვიდად გადაწყდება. სალაპარაკო არასოდეს იქნება, ეს მე მეკუთვნის და არა შენ. ყოველთვის იქნება გულკეთილობა, ერთგულება, არა პრინციპი: „ეს ნივთი მე მეკუთვნის". არამედ „ეს შენი იყოს", „ეს შენ უფრო დაგჭირდება". არასოდეს არ იქნება შუღლი გაყოფა-გამოყოფის გამო და, საზოგადოდ, ეს ცნება არ იარსებებს. მე დარწმუნებული ვარ, რომ რძლები, რომლებიც შემოვლენ ჩვენს ოჯახში, გაგებით მოეკიდებიან ჩვენს შედარებით მოკრძალებულ ცხოვრებას (შედარებით იმიტომ, რომ რამდენი ჩვენზე გაჭირვებული ცხოვრობს ამქვეყნად). მთავარია სიყვარული და კარგი ურთიერთობა, თორემ მხოლოდ სიმდიდრე და ფუფუნება საქმეს არ უშველის, ოჯახს ვერ შექმნის, თუმცა ვიცი, რომ იმას ვერ გიტოვებთ, რასაც თქვენ იმსახურებთ.

შემინდეთ... ღირსეული შვილები აღზარდეთ. იცოდეთ, რომ მათი ბაბუა (ესე იგი მე) არა ვარ ჩემი კაცობით შერცხვენილი მათ წინაშე".

**ეს წერილი თავისი შინაარსით ანდერძია, ანდერძი, რომელიც ნათლად წარმოგვიჩენს ქიული შარტავას ადამიანურ დიდბუნებოვნებას.**



მეუღლე და შვილიშვილი ქიული შარტავას სურათთან.



მარცხნიდან: ედიშერ კოსტავა, რამაზ აბაშიძე, მერაბ მგელაძე და ქიული შარტავა, 1970 წელი.

# არ ჩამიღულა შენი ხომალდი

ამაყი მზერით გამოდიხარ მოგონებიდან და ცოცხლებს კვლავ სიცოცხლეზე გვესაუბრები. არ ჩაძირულა შენი ხომალდი, რამეთუ, როგორც მისმა ერთადერთმა ღირსეულმა კაპიტანმა, ბოლო წუთებშიც კი არ ისურვე მისი დატოვება.

რა ვუყოთ, თუ შენც იმ ბედკრული საქართველოს შვილი ხარ, რომლის ტერიტორიაც მეფეთ-მეფე დავითის შემდეგ თითქმის ოთხჯერ დაპატარავდა.

რა ვუყოთ, თუ შენც ამ ცოდვის იმპერიაში იმსახურე, თუმცა – იმსახურე და არ ემსახურე!!!

შენ არ გიძებნია ედელვაისი, ედელვაისმა თავად მოგძებნა!

რამდენ ვინმეს შურდა არათუ შენი უდიდესი კომპეტენტურობისა, არამედ შენი ჩრდილისაც კი.

რამდენ რამეს იტევდა შენი დუმილი...

შენ დიოგენეს ფანარიც გქონდა და მისი ყავარჯენიც!

შენი ოთახის კარზე, ოთახისა, რომელშიც გვიან ღამემდე ენთო შუქი, ყოველთვის აკაკუნებდა მაცხოვარი და შენც ყოველთვის აღებდი კარს.

გამარჯვებასაც საიდუმლოდ ინახავდი, თუმცა იცოდი, რომ მტრებს, უარეს შემთხვევაში, შეიძლებოდა მხოლოდ მოეკალი.

შენი დიდებული ვაჟკაცები და უსათნოესი მეუღლე ყოველთვის ამაყად ივლიან ამ მიწაზე და შენც, დიადად გარდაცვლილო, იმ საუფლოში კაცად გარდასულო, კიდევ ერთხელ გაგვახსენე, რომ საქართველოს დიდი მკვდრები ჰყავს.

მახსოვს, როგორღაც სიმბოლურად მითხარი: შენი დაბადებიდან ასი წლის თავზე, 2061 წელს, დედამიწას კვლავ ჩაუვლის ჰალეის კომეტა და ჩვენს პლანეტას კუდიც რომ გაჰკრას, საქართველო მაინც გადარჩებაო. ამ თარიღს, ბუნების კანონებიდან გამომდინარე, ჩვენ ორნი, ცხადია, ისედაც ვერ მოვესწრებოდით, თუმცა გულს ვიმშვიდებ, რომ შენ, უკვდავების გზაზე გასული, ჰალეის კომეტის ასიათასობით გამოჩენას შეხვდები.

ამიტომაც აღარ გიტირებთ...

ამიერიდან შენს საფლავზე ყვავილებს მოიტანენ მხოლოდ ღმერთები!!!

**ლაშა ნადარეიშვილი.**

# მას ჰქონდა საქართველოს სახელით მადლობის გადახდის უფ[ლება]

მოხდა ის, რაც არაერთხელ მომ-[illegible] ქიული შარტავა[illegible] ღირსებების მიხედვით სრულიად მხოლოდ სიკვდილის შემდეგ დააფასეს.

ვიცი, თავის დროზე ზოგიერთნი მას მხოლოდ პოლიტიკურ კარიერაზე მომართულ ორთოდოქს კომკავშირელად თვლიდნენ, შემდეგ ორთოდოქს კომუნისტად... როგორც [illegible]ლას, [illegible] მას ახლოს იცნობდა, კარგად ესმოდა, რომ ეს აზრი მცდარი, მის ცხოვრებასთან მიმართებაში კი, უბრალოდ, დანაშაულებრივი იყო. თავის დროზე რამდენიმე ახლობელსაც კი დავშორდი იმ მიზეზით, რომ მათ წინასწარ შექმნილი აზრი ჰქონდათ ქიულიზე და არ შეეძლოთ სამართლიანად შეეფასებინათ მისი მოქმედება. არ ვნანობ მათთან დაშორებას, რადგან ყოველთვის მწამდა და მჯეროდა ქიულისი და დიდი სიყვარულითა და მოკრძალებით ვიყავი გამსჭვალული მისდამი.



მამა-შვილი კალისტრატე და ქიული შარტავები, 1992 წელი.

მახსენდება ჩვენი კამათი რუხში დადგმული მონუმენტის შესახებ, რომელიც ქართველ და აფხაზ ხალხთა შორის მეგობრობის აღსანიშნავად იყო ჩაფიქრებული. მისი აზრით, ამ ადგილზე უნდა გამართულიყო ხოლმე ტრადიციული დღესასწაული, რომელიც ორი ხალხის ძმობას მიეძღვნებოდა. უნდა გენახათ მისი ენთუზიაზმი და შემართება მონუმენტის მშენებლობისას. ბევრს ვკამათობდით და პირადი შეხედულების დასაცავად ხშირად ვეკითხებოდით ერთმანეთს: ვის უფრო სჭირდებოდა ეს მონუმენტი, მე თუ მას? აღმოჩნდა, რომ ის ყველაზე უფრო საქართველოს სჭირდებოდა.

მის სახლში არაერთხელ ვყოფილვარ, მაგრამ დიდხანს არ მიმიქცევია ყურადღება ერთ პორტრეტზე. ერთხელ უეცრად აღმოვაჩინე პორტრეტში რაღაც, რაზედაც არ შემეძლო ყურადღება არ გამემახვილებინა. ქიულიმ ძალიან უბრალოდ და მორიდებულად თქვა: „ძალიან დიდი ხნის წინ დავხატე". როცა ხელოვნებაზე, ქანდაკებაზე ვსაუბრობდით, მის ხმაში სევდა იგრძნობოდა.

მან დაასრულა სიცოცხლე ასე და არა სხვანაირად, რათა დაემტკიცებინა ყველასთვის, რომ აგრძელებდა თავისი დიდი წინაპრების – ცოტნე დადიანის, ილია ჭავჭავაძის გზას.

**გოგი შხვაცაბაია.**

**აფხაზეთში ქიული შარტავა აფხაზებს კი არა, აფხაზთა და ქართველთა მტრებს ებრძოდა. იქნებ მისი სიკვდილიც და უკვდავი სულიც ამ ორი ხალხის მარადიული ძმობისა და ერთიანობის უმტკიცესი და დაუნგრეველი ხიდი გახდეს...**

**ეს ქიული შარტავას ყველაზე დიდი და უკვდავი ძეგლი იქნება!**

**რეზო ფაჩულია.**

# თაობათა ღირსეული მაგალითი

არ ვიცი, ვის გაანდო თავისი გულისნადები, სიცოცხლესთან განშორების საუკუნო იდუმალება. საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის ამ წამთა გაელვება. მჯერა, აწვალებდა უთქმელი სევდა და იარა, ზოგჯერ გაუსაძლისი სულის სიმძიმით – როგორ უძლებს ადამიანი ამდენ ტკივილს...

ჩვენ, მის აღზრდილ თაობას, ერთად ყოფნა, ერთად შენება, ურთიერთთანადგომა, ურთიერთგატანა და სიყვარული დაგვიტოვა ანდერძად. თავად ხომ ერთგულებასა და სიყვარულს შეეწირა და ამით თვით სიკვდილი დაამარცხა.

კაცობრიობამ შემთხვევით როდი შექმნა ღაღადისი – სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი!

**მარინა ხარატიშვილი.**

# ცოტნეს შთამომავალი

**თუ კაცზე ითქმის, ის გავდა კლდეზე შემართულ არწივს, თვისტომთა ხელით ნაჭედი თავზე აიღო მარცხი.**

**ომში წასულის ამბავი მოუტანია მერცხალს, ჩვენს სახეს ლაქა ცოდვისა მან ერთმა ჩამორეცხა.**

**ემზარ კვიტაიშვილი.**



ქიული შარტავას საფლავი.

**სარედაქციო კოლეგია.**

რედაქციის მისამართი: 380075, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №77, ტელ: 36-66-70. სტუ ადმინისტრაციული შენობა, III სართული.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

## ფეხბურთის ვარსკვლავი

*რამდენი დიდი ფეხბურთელია დღევანდელ სპორტულ სამყაროში? ვინ იცის. პირობითად რომ ვინმემ ათი თქვას, ერთი ადგილი აუცილებლად ტიერი ანრის უნდა მიაკუთვნოს.*

*ლონდონის „არსენალისა" და საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელს ესაუბრება პოპულარულ ჟურნალ „ფრანს ფუტბოლის" კორესპონდენტი.*

# შეუდარებელი ტიერი ანრი





**— ტიერი, თქვენ უკვე მეორედ დაგასახელეს წლის საუკეთესო ფრანგ ფეხბურთელად. თქვენ ახლა უკეთ თამაშობთ, ვიდრე 2000 წელს?**

— არა მგონია, მაშინ საფრანგეთი ევროპის ჩემპიონი გახდა, მე კი — ფინალური მატჩის საუკეთესო მოთამაშე. ამას „არსენალის" მონაწილეობაც დაერთო უეფას თასის ფინალურ მატჩში.

**— ახლა თქვენ 33 ქულით მეტი მოაგროვეთ, ვიდრე ზიდანმა, რომელსაც პირადად თქვენ მიეცით ხმა.**

— ჩემთვის ზიზუსთვის პირველი ადგილის მინიჭება ღირსების საქმე იყო. 33 ქულა უბრალოდ სიმბოლიკაა. მთავარია გამარჯვება, ანგარიშს მნიშვნელობა არა აქვს. მე გამარჯვებულის მენტალიტეტი გამომიმუშავდა. პირდაპირ ვიტყვი, ზიზუს გასწრება ჩემთვის დიდი წარმატებაა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემს მუშაობას ძველი მოთამაშეებიც აღიარებენ და ახლებიც. ხშირად ერთ მოთამაშეს მეორისა ესმის. თითოეულს საკუთარი ხედვა, თავისი აზრი აქვს.

**— როგორ აფასებთ თქვენს მეორე ადგილს „ოქროს ბურთის" ბოლო კონკურსში?**

— როგორც უზარმაზარ წარმატებას. მე მეოთხე ვიყავი 2000 წელს, მეექვსე 2001 წელს და მეცხრე 2002 წელს. ნედვედმა ახლა „ოქროს ბურთი" რომ მოიგო, სიმპათია იმითაც მოიპოვა, როცა განაცხადა: ეს პრიზი შეიძლებოდა სხვებსაც მიკუთვნებოდათ. ჩემი აზრით, სამართლიანი იქნებოდა, გამარჯვებულად რომ მალდინი ან ინძაგი გამოეცხადებინათ. რონალდომ, რომლის წარმატებებითაც აღტაცებული ვარ, განაცხადა, რომ რობერტო კარლოსის გამარჯვებას ამჯობინებდა. რობერტო კარლოსი ყველა მატჩს დიდი მონდომებით, მთელი სულითა და გულით ატარებს, იქნება ეს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩი თუ გაყინულ მოსკოვში ფრეს მისაღწევად გამგზავრება.

**— ფეხბურთს ტელევიზიით ადევნებთ თვალს?**

— და თანაც როგორ. მე ფეხბურთით ვსაზრდოობ, სიზმარშიც ფეხბურთს ვხედავ, ფეხბურთით ვსუნთქავ. მე ინგლისის მეოთხე დივიზიონის მატჩებსაც კი ვნახულობ ტელევიზიით. არა, ავადმყოფი არა ვარ, დიდად გატაცებული კი. როცა რომელიმე ფეხბურთელზე ვლაპარაკობ, მის ჰეთ-თრიკს კი არ ვეხები, არამედ იმას, როგორი სრულყოფა მიიღო სეზონის განმავლობაში. დაწვრილებით ვარჩევ ყველა მატჩს, თუნდაც ძველებს, ოდესღაც რომ ვნახე. ჩემს მიზნად გუნდის გამარჯვებას ვთვლი, პირადი წარმატებები კი ამის შემდეგ უნდა დავასახელოთ: წლის ფეხბურთელი ინგლისელი ჟურნალისტების ვერსიით, კონფედერაციის თასის საუკეთესო მოთამაშე, „ფრანს ფუტბოლის" ჯილდო...

**— თქვენ საუკეთესოდ ჩაგთვალეს კოპამ და პაპენმა, პლატინიმ და დეშამმა. როგორ შეხვდა ამას ანრი — ფეხბურთის ცოცხალი ენციკლოპედია?**

— ძალიან გამიხარდა. მე ხომ ძველი ოსტატების თამაშს კასეტებით ვსწავლობ. ზოგს დავასახელებ კიდეც: ამოროს, ტიგანას, პლატინის, ტრეზორს, ჟინოლას, როშს, ლამას, ბლანს — გვარები კი არა, სიმღერაა. როცა ასეთი დონის ადამიანები გაქებენ, ძალიან სასიამოვნოა.



**— თქვენ და მარიუს ტრეზორი ანტილური წარმოშობისანი ხართ. ხშირად ხვდებით ერთმანეთს?**

— ხშირად. ლიზარაზიუმ შეძლო ბორდოში მატჩის ორგანიზება მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონების მონაწილეობით. მისი შემოსავალი კატასტროფის დასაძლევად — ბისკაის ყურეში ნავთობის დაღვრის შედეგად რომ მოხდა — უნდა დახარჯულიყო. მე ძლიერ შევცბუნდი, როცა ტრეზორი გასახდელში შემოვიდა. სწორედ მან, ბოსიმ და სხვებმა შემაყვარეს ფეხბურთი.

**— „ფრანს ფუტბოლი" რომ გაჯილდოვებდათ, თქვენსა და ზიდანთან ერთად იყო ლიუდოვიკ ჟიული, „მონაკოს" კაპიტანი.**

— იგი დიდებულია, პირდაპირ დაფრინავს მინდორზე. მე ლიუდო ჯერ კიდევ მაშინ გავიცანი, როცა „მონაკოში" ჩაირიცხა, დღეს კი ორივენი ნაკრებში ვთამაშობთ. დიდი პოტენციალი აქვს, არა მგონია, ზრდა შეწყვიტოს.

**— თქვენ მშვენივრად ხართ შეხმატკბილებული ნაკრებში ტრეზეგესთან?**

— როცა მეტოქის ნახევარზე ვმოძრაობ, ვამჩნევ ხოლმე დავიდს, რომელიც მეტოქეს ბურთისათვის ებრძვის. გუნდმა იცის, რომ ამას შეუძლია წარმატების მოტანა. დავიდს ძალიან სწრაფად ეხერხება ხელსაყრელ ადგილას გასვლა. გერმანიის ნაკრებთან მატჩში ჩვენი კომბინაცია ეფექტიანიც იყო და ეფექტურიც. მე ვიფიქრე: ვაი თუ ვერ გავიტანო. ტრეზეგეზე მეტად ვიყავი გახარებული.

**— თქვენი კლუბი რამდენიმე წლის განმავლობაში, ძირითადად, ინგლისის ჩემპიონატში გამარჯვებისაკენ მიისწრაფოდა, ახლა კი მეტ ყურადღებას ჩემპიონთა ლიგასაც აქცევს. ამასთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ: როგორია თქვენი მზადების დონე დღეისათვის?**

— ჩვენთან შეიცვალა მეკარე, დანარჩენების კონდიცია ისეთივეა, ოღონდ ისინი უფრო გამოცდილები გახდნენ. ვნახოთ, რა მოხდება. მე არ მიყვარს ისინი, ვინც ბევრს ყბედობს. როცა „რომა" დავამარცხეთ ანგარიშით 3:1 (სამივე გოლი ანრიმ გაიტანა), დაიწყეს ლაპარაკი: ვის შეუძლია მათი შეჩერება? ამ სეზონში ჩვენ არ გავძლიერებულვართ, ეს „ჩელსიზე" და „მანჩესტერ იუნაიტედზე" ითქმის. ბევრი თვლის, რომ ჩვენ ტემპს ვერ გავუძლებთ. ჯერჯერობით ვუძლებთ და ჩემპიონთა ლიგაშიც ვთამაშობთ.

**— სოლ კემპბელი თანახმაა „არსენალთან" კონტრაქტი 2009 წლამდე გააგრძელოს. მასთან ერთად თქვენ და პატრიკ ვიეირას გსურთ კლუბის სიმბოლოები გახდეთ?**

— რა თქმა უნდა. ეს გადაწყვეტილება პატრიკმა კარგა ხანია მიიღო, მაგრამ შემდეგ მძიმე წუთები დაუდგა. მე უფრო გამიმართლა. სოლ კემპბელიც არსად წავა. თითოეულ ჩვენგანს გუნდში თავისი როლი აქვს, ყველას დარჩენა უნდა. აი, ერთ მათგანს მაინც რომ მოენდომებინა წასვლა, — სხვებიც დაფიქრდებოდნენ. ეს კოლექტიურ სევდას და იმედის გაცრუებას გამოიწვევდა. ჩვენ ამას არ გავაკეთებთ.

**— არსენ ვენგერის ეფექტი მოქმედებს?**

— არა მხოლოდ. არსენმა კლუბი გადაახალისა, შეცვალა მისი სტრუქტურა, ორჯერ მოიპოვა ჩემპიონობა, სამჯერ — ინგლისის თასი. ყოველივე ეს მშვენიერია, მაგრამ ისიც ვთქვათ, რომ ჩვენთან ისეთი სულისკვეთებაა, რომელიც სხვაგან არსად შემხვედრია. ჩვენთან ყველა ერთმანეთს ეკამათება, მხიარულობს, არავინ ამპარტავნობს. კარგად იციან მეგობრობა. ერთი სიტყვით, ნამდვილი სიკეთით გამსჭვალული ოჯახია.

**— ამასთან, საფეხბურთო ბაზარი კვლავ აფორიაქებულია. თქვენ ხომ გულცივი ვერ დარჩებით, როცა „რეალი" და „ჩელსი" ფანტასტიკურ თანხებს გთავაზობენ.**

— ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ მე რომ თავს „არსენალში" ბედნიერად ვგრძნობ? ილაპარაკონ, რა ვქნა. მწვრთნელებმა და პარტნიორებმა იციან, რასაც ვაპირებ. მინდა, რომ „არსენალმა" მოიგოს ჩემპიონთა ლიგა. არ მიფიქრია, რომ ამის გაკეთება „რეალში" უფრო ადვილად შეიძლებოდა. ჩვენ ბევრი ვეცადეთ „არსენალში", გვინდა ჩვენი ზრახვები სწორედ აქ მივიყვანოთ ბოლომდე. მე ეს გამარჯვება სიკვდილამდე დამამახსოვრდებოდა.

**— ხომ არ თვლით, რომ „არსენალს" კონტინენტურ ტურნირებში მონაწილეობის ნაკლები გამოცდილება აქვს?**

— მოთამაშეებმა იციან, რა შეუძლიათ და რა — არა. მათ უკვირთ კიდეც, როგორ არ გაკეთდა ზოგიერთი რამ. „არსენალს" ევროპულ ტურნირებში არა აქვს მუდმივი წარმატებები, ზოგჯერ გაბედულებაც აკლიათ. ამასთან, დრო ჩვენს სასარგებლოდ მოქმედებს. დღეისათვის ჩვენ მერვედფინალში, ე.ი. 16 უძლიერესთა შორის ვართ. სხვა გუნდებს მაინცდამაინც არ ახარებთ ჩვენთან შეხვედრა. მართალია, ჩვენ დღეს არა ვართ იმ კლუბებს შორის, ვინც წერდა ჩემპიონთა ლიგის ისტორიას, გადამწყვეტ როლს თამაშობდა მის გათამაშებაში. მე მხედველობაში მყავს „იუვენტუსი", „მილანი", „რეალი", „ბაიერნი", ანდა „აიაქსი". უნდა ვიბრძოლოთ, გავიმარჯვოთ, რათა მათ გავუთანაბრდეთ.

**— რაც შეგეხებათ თქვენ, ვისთან გნებავთ ერთ რიგში დადგომა?**

— არ ვიცი, ერთხელ მკითხეს, მექნებოდა თუ არა სათამაშო პროგრესი. საბედნიეროდ, — მქონდა. ვიღებდი გამოცდილებას, ვსრულყოფდი თამაშს. აი, ისეთად რომ დავრჩენილიყავი, როგორც „მონაკოში", სადაც 20 წუთს ვთამაშობდი შესვენებებით, მაშინ რას მივაღწევდი? სათამაშო ღირსებები კი მქონდა, მაგრამ სტაბილურობის გარეშე. შეუპოვრად დავიწყე მუშაობა, მაგრამ მარტო ნიჭი რას გახდება, თუ მარადონა არა ხარ? პროგრესისათვის საჭიროა მენტალიტეტი და შრომა.

**— როგორ გრძნობთ თავს ინგლისში?**

— სასარგებლოა პრესისათვის თვალის მიდევნება. თუკი ვერ შეასრულე, რაც გევალებოდა, პარტნიორი წარბსაც კი არ შეიხრის, საჯაროდ გამოაცხადებს, რომ გუნდი შენს გამო დამარცხდა. აშშ-ში კიდევ უფრო მკაცრად იქცევიან. თუ საკმარისად ძლიერი არა ხარ, სჯობს ევროპაში დაბრუნდე. სხვათა შორის, მე მომწონს ასეთი მიდგომა. შენი თამაში თავიდანვე შესაფერის შეფასებას იღებს. ჩვენ ხომ მოგებისაკენ მივისწრაფით, ბაღში ყვავილებს კი არ ვკრეფთ.

**— ნაკრებში გამართულ 14 მატჩში თქვენ 11 გოლი გაიტანეთ და 8 საგოლე გადაცემაც შეასრულეთ. ეს ხომ შესანიშნავი შედეგია.**

— ადრე სულ რამდენჯერმე ვითამაშე ცენტრალურ თავდამსხმელად, ამ როლს კი ახლა „არსენალში" 5 წელია ვასრულებ. ამ მატჩებში, მართლაც, კარგად ვითამაშე. აი, როცა ფრთაზე გამოვდიოდი, თუმცა ეს გუნდის ინტერესებისათვის კეთდებოდა, ნაკლები სარგებლობა მომქონდა. ვიმეორებ, მე უკეთესად ვმოქმედებ, როცა ცენტრში გამოვდივარ. მწვრთნელი სანტინი ყოველთვის 4+4+2 სქემას იყენებს, იმის მიუხედავად, თუ ვინ გამოჰყავს თავდასხმაში.

**— თქვენ ევრო-2004-ის 8 შესარჩევ მატჩში ითამაშეთ. მეტოქეები არც ისე ძლიერები იყვნენ?**

— ახლა იოლია ლაპარაკი. თუმცა არ ვიტყოდი, რომ მაინცდამაინც უძლიერესები დაგვიპირისპირდნენ. ამასთან, როცა მათზე ვსაუბრობთ, მახსოვს, ზოგჯერ როგორ შევშფოთდებოდით კიდეც. სლოვენიელებთან განმეორებითი თამაშის წინ სულაც არ ვიყავი მოგებაში დარწმუნებული.

**— თქვენ დიდებულად ითამაშეთ კონფედერაციის თასზე, ტურნირის საუკეთესო მოთამაშეც გახდით და საუკეთესო ბომბარდირიც. მთლიანად გაამართლეთ იმედები?**

— დიახ, პროგნოზები გამართლდა. ისიც ვთქვათ, რომ გუნდების შემადგენლობები შესუსტებული იყო, ჩვენც ახალი მოთამაშეები გვყავდა. ღირდა კი საფრანგეთ-კამერუნის ფინალური მატჩის გამართვა მარკ-ვივიენ ფოეს გარდაცვალების შემდეგ? მე ვამაყობ კამერუნელების არჩევანით.

**— კონფედერაციის თასზე, როცა ზიდანი არ თამაშობდა, თქვენ გულშემატკივრების კერპი გახდით.**

— დიახ. ამის შემდეგ დიდ სიამოვნებას კი ვიღებ, მაგრამ ვცდილობ თავდაჭერილი ვიყო. არ მინდა ჩემი პარტნიორები შევაცბუნო.

**— გატანილი გოლის შემდეგ თქვენ ისე იქცევით, თითქოს დიდი არაფერი მომხდარიყოს. შეიძლება ეს გულშემატკივრებს პრეტენზიულობად, გულგრილობად მოეჩვენოთ.**

— რატომ გსურთ, რომ მინდორზე ყოველთვის ვიღიმებოდე? მე ისეთი ვარ, როგორც მხედავთ, არც სალტოს ვაკეთებ მინდორზე, ე.ი. მალაყზე არ გადავდივარ, არც რაიმე სხვა პირუეტს. გოლის გატანა მინდორზე წრის გაკეთების საბაბი არ უნდა იყოს. მე, უბრალოდ, მადლობას ვუხდი მას, ვინც ბურთი მომაწოდა.

**— 12 ივნისს პორტუგალიაში ევროპის ჩემპიონატი იწყება. თქვენს ჯგუფში ინგლისი მოხვდა. განიხილავთ „არსენალში" ამ საკითხს?**

— მე არ განვიხილავ, ამის შესახებ არავის ველაპარაკები. ვითამაშებთ ინგლისელებთან, გვინდა მოგება, მორჩა და გათავდა. როგორც კი ცნობილი გახდა, რომელ მეტოქეებთან ვთამაშობდით, მაშინვე თქვეს, რომ ეს იოლი ჯგუფია, იგივე აზრი გამოთქვეს ჩვენს შესარჩევ ჯგუფში 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე. დიახ, ჩვენ შეგვიძლია ამ მეტოქეებთან თამაში, მაგრამ ნუ ვიტყვით, რომ ისინი სუსტები არიან.

**— თვლით თუ არა, რომ ევროპის პირველობა მსოფლიო ჩემპიონატზე უფრო ძლიერია?**

— დიახ, ასეა. ევროპის პირველობაზე ნაკრებები მეტ-ნაკლებად უფრო ერთი დონისანი არიან. გავიხსენოთ 2000 წლის ევროპის ჩემპიონატი. აქ თითოეული მატჩი სულ წვრილმანებზე იყო დამოკიდებული. ძელზე ბურთის მოხვედრა, გამოუყენებელი პენალტი ყველაფერს წყვეტდა. ეს იყო ჰიჩკოკის ფილმების მსგავსი მძაფრი პაექრობები. ჩვენი მატჩები ესპანეთის, პორტუგალიის და იტალიის წინააღმდეგ ისტორიაში შევიდა. ზაფხულში კი ამის გაგრძელების მოწმენი გავხდებით.

მოამზადა
**გივი თორელმა.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

## ყოველი მხრიდან



### პირველი კრამნიკია!

**მაშ ასე, ლინარესში დამთავრდა მეოცე კატეგორიის საჭადრაკო სუპერტურნირი. შეიძლება ითქვას, თითქმის ბოლო წუთებამდე გადაწყვეტილი არ იყო, თუ ვინ დაიკავებდა პირველ ადგილს. ბოლო ტურებში წინ გაჭრილ ვლადიმერ კრამნიკს უახლოესი მდევრები გარი კასპაროვი და პეტერ ლეკო ხომ მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩებოდნენ, თანაც, ბოლოსწინა პარტიაში ცაიტნოტში მოხვედრილმა გარიმ ხელიდან გაუშვა ტოპალოვთან თითქმის ნაღდი გამარჯვება.**

დამაგვირგვინებელი, მე-14 ტური მთელი ტურნირის დამახასიათებელ ორთაბრძოლებში წარიმართა – კრამნიკმა შავებით ძალზე იოლად მიაღწია ყაიმს ტოპალოვთან, მალე დაზავდნენ შიროვი და ლეკოც. მხოლოდ ვალეხო-კასპაროვის პარტია გაგრძელდა კარგახანს. მართალია, მსოფლიო ჭადრაკის ლიდერი უტევდა, მაგრამ ესპანელიც მაგრად იდგა. ისინი ყაიმზე 54-ე სვლაზე მორიგდნენ.

ამრიგად, 7 ქულით გაიმარჯვა ვლადიმერ კრამნიკმა, დანარჩენი ადგილები კი დიდოსტატებმა ასე გაინაწილეს – 2-3. კასპაროვი და ლეკო – 6,5-6,5 ქულა, 4-5. რაჯაბოვი და ტოპალოვი – 6-6; 6-7. შიროვი, ვალეხო – 5-5 ქულა.

აღსანიშნავია, რომ ტურნირის მეორე ნახევარი განსაკუთრებული აღმავლობით ითამაშა 16 წლის აზერბაიჯანელმა თემურ რაჯაბოვმა. მან „ესპანეთის ნაკრები" – შიროვი და ვალეხო – დაამარცხა და საერთოდ, ძალზე აგრესიულ მებრძოლად წარმოაჩინა თავი.

### 150 მილიონი ახალი სტადიონისათვის

**ცოტა ხანში დაიწყება დონეცკის „შახტიორის" ახალი სტადიონის მშენებლობა, – ამ სასიამოვნო ახალი ამბით გაახარა ახალი სეზონის წინ შეკრებილი თავიანთი გუნდის გულშემატკივრები კლუბის პრეზიდენტმა რინატ ახმეტოვმა.**

ლენინური კომკავშირის სახელობის პარკის ტერიტორიაზე სუპერთანამედროვე ფეხბურთის ასპარეზის მშენებლობა, სავარაუდოდ, 150 მილიონი დოლარი დაჯდება.

უკრაინაში საფეხბურთო სეზონი დღეს ქვეყნის თასზე ნახევარფინალური მატჩებით იწყება.

### ვინ შეაჩერებს შუმახერს?

**დღეს შორეულ მელბურნში, „ალბერტ-პარკის" ტრასაზე სტარტს აიღებს ავტორბოლაში „ფორმულა-1" 55-ე ჩემპიონატი.**

მხოლოდ შვიდნახევარი თვის შემდეგ, ალბათ, 24 ოქტომბერს, სან-პაულუში „ბრაზილიის გრან-პრის" გათამაშებისას გახდება ცნობილი 2004 წლის მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მფლობელი – ისევ, ახლა უკვე მეშვიდედ, „ფერარის" სუპერპილოტი მიხაელ შუმახერი, თუ მას გამოუჩნდება ღირსეული მეტოქე. მომავალი ჩემპიონის „ჩოხას" ხომ ბევრი იკერავს – „შუმის" თანაგუნდელი და თანამებრძოლი ბრაზილიელი რუბენს ბარიკელო, „უილიამსის" პილოტები – კოლუმბიელი ხუან პაბლო მონტოია, თუ ექსვგზის ჩემპიონის უმცროსი ძმა, გერმანელი რალფ შუმახერი, ან „მაკლარენიდან" – შოტლანდიელი დევით კულტ ჰარდი და ფინელი კიმი რაიკონენი... და ა. შ. და ა. შ.



გუშინ გაიმართა საკვალიფიკაციო რბოლა, რომლის პირდაპირი ტრანსლაცია ჩვენი ტელევიზიის პირველმა არხმა მოაწყო.

თავდაპირველად ბარიკელო ლიდერობდა და სხვებიც მის დაწევას ცდილობდნენ, მაგრამ ტრასაზე მიხაელ შუმახერი გამოვიდა და ყველაფერი „თავის ადგილზე" დადგა. ჩვეული ოსტატობით გადაუსწრო ყველას – 1.24, 408, მეორე ადგილი ბარიკელოს დარჩა, – 1,24.482. მესამეზეა მონტოია – 1.24,998. ასეთივე მაჩვენებელი აქვს „ბარის" პილოტს ბატტონს.

დღეს კი მთავარი ბრძოლაა.

### მეძავთა დახმარებით

**მართალია, ამბობენ, ყველა პროფესია საამაყოაო, მაგრამ არ ვიცით, რა აზრის არიან ამაზე ერთ-ერთი ყველაზე უძველესი პროფესიის წარმომადგენლები. თუმც მათ რომ თანადგომა და ხელის გამართვა ძალუძთ, ამაში ავსტრალიური ფეხბურთის კლუბის ხელმძღვანელობა დაგვემოწმება. თანაც იმაში სამარცხვინოს არაფერს ხედავენ, რომ ფული სთხოვონ დედაქალაქში სახელგანთქმულ საროსკიპოს. აქაურ მეძავებს საქმე მშვენივრად მისდით, შემოსავლის ნაწილს კი ისინი, კარგა ხანია, სპორტში სდებენ – ეხმარებიან კიკბოქსელებს, მოტომრბოლელებს. არც ფეხბურთელებისთვის უთქვამთ უარი.**

მაგრამ სპორტსმენებმა მადლობა როგორ უნდა გადაუხადონ ასეთ ქველმოქმედებს? ძნელი გამოსაცნობია?!

კლუბის პრეზიდენტმა ელიოს დელიიანისმა განაცხადა, – რომ მეძავებთან სუფთა საქმიანი დამოკიდებულება აქვთ. ფეხბურთელები კეთილსინდისიერი ხალხია... თუმც ქალებს კლიენტურის შეძენაში მაინც დაეხმარებიან. ამისათვის კლუბმა თავის ყველა რეგისტრირებულ გულშემატკივარს მიმართა წერილობითი მოწოდებით: „დაეხმარეთ ქალიშვილებს, რომლებიც ასე კარგად გვეხმარებიან ჩვენ!"

### „ევროპაში მძღოლები უფრო ზრდილობიანნი არიან"

**– ასე განაცხადა დედამიწის გარშემო ზემარათონის ერთ-ერთმა მონაწილემ, რუსი მძღოლების საქციელის გამო, რომლებიც ყოველმხრივ ხელს უშლიან მარათონელებს, არ უთმობენ გზას, ცდილობენ მათ გზისპირზე მიჭყლეტას.**

მარათონმა სტარტი 1 იანვარს ლონდონში აიღო. მისი მონაწილეები აპირებენ, ხუთი წლის განმავლობაში გადალახონ 42 ათასი კილომეტრი ჩვენი პლანეტის ყველა კონტინენტზე, ანტარქტიდის გამოკლებით. მათი სიჩქარე დღე-ღამეში 20-60 კილომეტრია. ფინიში გათვალისწინებულია 2008 წლის 31 დეკემბერს გრინვიჩის მერიდიანთან.

მარათონში მონაწილეობენ 32 წლის დანიელი ჯესპერ კენ ოლსენი, 45 წლის რუსეთელი ალექსანდრე კოროტკოვი და 50 წლის იაპონელი ქალბატონი კაიხატა კაზუკო. გუშინ ისინი ნოვგოროდიდან გავიდნენ და 16 მარტს მოსკოვში აპირებენ ჩასვლას.



### ნუ გაგიკვირდებათ!

**ის, რაც სახელგანთქმულ ფრანგ ფეხბურთელებს ზინედინ ზიდანს და ფაბიერ ბარტეზს აცვიათ, არც საავადმყოფოსა და არც პროფკავშირული სანატორიუმის პიჟამოები არ არის.** ისინი 2004 წლის ევროპის ჩემპიონატისათვის საფრანგეთის ეროვნული ნაკრების წევრებისათვის ბელგიელი მოდელიერის ოლივიე სტრელის მიერ შეკერილ საპარადო კოსტიუმებს იზომებენ.

### ჰეთ-თრიკი 140 წამში

**დიახ, სწორედ ამდენი დრო დასჭირდა ინგლისის ჩემპიონატის მეორე დივიზიონის კლუბ „ბორნმუტის" თავდამსხმელს ჯეიმს ჰაიტერს, რათა ლიგის ისტორიაში ყველაზე სწრაფი ჰეთ-თრიკი შეესრულებინა.**

წინა დღეს რეკორდსმენს ბიჭი შეეძინა და ეს რეკორდი, ალბათ, მას მიუძღვნა, თუმცა ამისათვის მინდორზე ძალზე ცოტა დრო ჰქონდა – ის ხომ შეცვლაზე თამაშის დამთავრებამდე 6 წუთით ადრე გამოვიდა.

## ათლეტიზმი

# ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად

## გრიგოლი – ათლეტთა ოჯახიდან

**IV ნაწილი**

დღეს ვამთავრებთ ვარჯიშების სერიას ახალგაზრდა ათლეტის **გრიგოლ ნიკოგოსოვის** (დაიბადა 1980 წელს) შესრულებით. იგი, ძირითადად, თავისი ბიცეპსებით, არის ცნობილი (გარშემოწერილობა 54 სმ), მაგრამ ტრადიციულ კულტურისტთა ოჯახიშვილმა კარგად იცის, რომ, რაოდენ გამორჩეულიც არ უნდა იყო, მარტო ბიცეპსებით შორს ვერ წახვალ – სხეულის სილამაზეს, ზურგის უგანიერესი და მკერდის დიდი კუნთების განვითარების გარეშე ვერ მიაღწევ. ამასვე ასწავლის ის საკუთარ შეგირდებს.

გთავაზობთ რამდენიმე ვარჯიშს გრიგოლ ნიკოგოსოვის შესრულებით.

**მკერდის კუნთების ვარჯიში**

**1. მკერდის დიდი კუნთების ვარჯიში ტრენაჟორზე (სურ. 1).** ათლეტი სპეციალურ ბალიშებზე იდაყვის დაყრდნობით მკერდის წინ ეწევა ტრენაჟორის სახელურებს. სრულდება 6 მისვლა 12-12 გამეორებით.

**2. მკერდის კუნთების ზედა კონების ვარჯიში ტრენაჟორის ღერძის მკერდამდე ჩამოქაჩვით (სურ. 2).**

სრულდება 6 მისვლა 15-15 გამეორებით.

**ზურგის უგანიერესი კუნთების ვარჯიში**

**3. ცალი მხრიდან დამაგრებული შტანგის მკერდამდე ამოწევა (სურ. 3).** სრულდება 6 მისვლა 10-10 გამეორებით.

**4. ბლოკის სახელურების მოქაჩვა მუცელთან შეხებამდე (სურ. 4).** სრულდება 6 მისვლა 12-12 გამეორებით.

**5. ჰანტელის ამოწევა ტანთან ახლოს თითოეული ხელისათვის.** თითოეული ხელისათვის სრულდება 6 მისვლა 8-8 გამეორებით.

**ურაბ ჭავჭანიძე.**

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.
















გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

# დასაქმებულთა რიცხვი მოსალოდნელზე ნაკლები აღმოჩნდა

**ამერიკის შეერთებული შტატების შრომის სამინისტრომ გამოაქვეყნა დასაქმების თებერვლის სტატისტიკური მაჩვენებლები.**

სპეციალისტთა უმრავლესობა გამოთქვამდა ვარაუდს, რომ თებერვალში ამერიკის ეკონომიკა შექმნიდა 125 ათას ახალ სამუშაო ადგილს, მაგრამ მათი მოლოდინი არ გამართლებულა: შეიქმნა სულ 21 ათასი ადგილი, თანაც, სამუშაო ადგილების მატება, პრაქტიკულად, მთლიანად მოდის სახელმწიფო აპარატზე და არა კერძო სექტორზე.

კერძო სექტორს არ სურს აიყვანოს ახალი ადამიანები მუდმივ სამუშაოზე, რაც მრავალი ეკონომისტის გულისტკივილს იწვევს, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ ყველაფერი პირიქით უნდა ყოფილიყო.



ამერიკაში უმუშევრობის დონე კვლავ რჩება იმ მაჩვენებელზე, რომელიც მრავალ სხვა ქვეყანას შეშურდებოდა — 5,6 პროცენტი, თუმცა, არც ეს ასახავს ზუსტ ციფრს, რადგან ამერიკელთა ნაწილმა უკვე ჩაიქნია ხელი სამუშაოს შოვნაზე, აღარ ეძებს მას აქტიურად და ამიტომაც ასეთი ადამიანები ვერ დააფიქსირეს სტატისტიკაში. უმუშევრობის რეალური დონე, როგორც ამერიკაში მიიჩნევენ, 6,4 პროცენტს შეადგენს.

ეკონომიკური დაქვეითება, რომელიც 2001 წლის მარტში დაიწყო, იმავე წლის ნოემბერში დასრულდა, და მას შემდეგ ამერიკის ეკონომიკა განიცდის აღმავლობას, ბოლო ორი კვარტალის განმავლობაში კი მისი განვითარების ტემპი ყველაზე სწრაფია ბოლო ორი ათეული წლის მანძილზე.

მაგრამ ძირითადი პრობლემაა ის, რომ აშკარა ეკონომიკური აღმავლობა, ზოგიერთ დარგში კი — ბუმიც, ვერ იწვევს სამუშაო ადგილების მკვეთრ ზრდას. ასეთი ჩამორჩენა შეინიშნება ნებისმიერი აღმავლობის პირველ სტადიაზე, მაგრამ იგი ახლა ძალზე გაჭიანურდა და ეს სულ უფრო მზარდ უკმაყოფილებას იწვევს თეთრ სახლში, რომელიც გულმოდგინედ ადევნებს თვალყურს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგებს.

შედეგები კი ცხადყოფს, რომ ეკონომიკური პრობლემები აღელვებს ამომრჩეველთა 25 პროცენტს, ერაყი და საშინაო პოლიტიკა კი — მხოლოდ 13 პროცენტს.

# ერაყის კონსტიტუციის ბედი აიათოლას ხელშია

**ერაყის კონსტიტუციის ახალი ვარიანტის ხელმოწერამდე, შიიტ პოლიტიკურ მოღვაწეებს მოუწევთ გამართონ მოლაპარაკება ერაყელ შიიტთა სულიერ ლიდერთან.**



საწინააღმდეგო მოსაზრებები, რომლებიც სულ ბოლო მომენტში გამოთქვა აიათოლა ალი სისტანიმ, როგორც ვარაუდობენ, გახდა კიდეც პარასკევისათვის დაგეგმილი ქვეყნის ძირითადი კანონის ხელმოწერის ცერემონიის გადადების მიზეზი.

ერაყის მმართველი საბჭოს წევრებს იმედი აქვთ, რომ ორშაბათს მაინც მოაწერენ ხელს ქვეყნის დროებით კონსტიტუციას.

პარასკევს, კონსტიტუციის პროექტის ხელმოწერის ცერემონიის წინ, ამერიკელთა მიერ დანიშნულ ერაყის მმართველ საბჭოში შემავალი ხუთი შიიტი წარმომადგენელი არ გამოცხადებულა ქვეყნის ძირითადი კანონის პროექტის უკანასკნელ წაკითხვაზე.

როგორც ბაღდადიდან იტყობინებიან, უთანხმოება ეხება კონსტიტუციის ორ პუნქტს, რომლებიც წინათ, თითქოსდა, არ ქმნიდნენ დაბრკოლებას დოკუმენტის ხელმოწერისათვის.

შიიტები მოითხოვენ, რომ ერაყში შემოიღონ ეგრეთ წოდებული კოლექტიური პრეზიდენტობა. მათი აზრით, ქვეყანას უნდა ხელმძღვანელობდეს რამდენიმე კაცი, მათ შორის შიიტთა სამი წარმომადგენელი, თითო — ქურთი და სუნიტი.

კონსტიტუციის არსებული პროექტი ითვალისწინებს ქვეყანაში ერთი პრეზიდენტის და მისი ორი მოადგილის არსებობას.

# თურქმენბაშიმ 2004 წელი თავისი მამის წლად გამოაცხადა

**თურქმენეთის მეჯლისმა 2004 წელი გამოაცხადა „თურქმენეთის გმირის ათამურატ ნიაზოვის — თურქმენეთის პირველი პრეზიდენტის საფარმურატ ნიაზოვის მამის“ წლად. შესაბამისი დადგენილება გამოაქვეყნეს თურქმენეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა.**



როგორც დოკუმენტშია ხაზგასმული, ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს „დამოუკიდებელი და მუდმივად ნეიტრალური თურქმენეთის პირველი პრეზიდენტის მამის — ათამურატ ნიაზოვის, სამშობლოს სასიქადულო შვილის უდიდესი ღვაწლის გათვალისწინებით, რომელმაც შესწირა სიცოცხლე ამჟამინდელი და მომავალი თაობების მშვიდ და უღრუბლო მომავალს“.

ამ გადაწყვეტილების გამოცხადების შესახებ პარლამენტში თხოვნა შეიტანეს თურქმენეთის დემოკრატიული პარტიის, პროფესიული კავშირების, თურქმენეთის გმირის გურბანსოლთან-ეჯეს სახელობის ქალთა კავშირის, ათამურატ ნიაზოვის სახელობის ომის ვეტერანთა ორგანიზაციის, მაჰმუთყულის სახელობის ახალგაზრდული ორგანიზაციის წარმომადგენლებმა.

თურქმენბაშის მამა დაიღუპა 1943 წელს ჩრდილოეთ ოსეთში. 2000 წელს მას, ისევე როგორც რესპუბლიკის ყველა მცხოვრებს, რომლებიც დიდი სამამულო ომის ფრონტებზე დაიღუპნენ, მიენიჭა თურქმენეთის გმირის წოდება. პრეზიდენტის მამის სახელს ატარებს ქალაქი აღმოსავლეთ თურქმენეთში (ყოფილი ქერკი), ომის ვეტერანთა ორგანიზაცია და პირველი თურქმენული ნავთობის ტანკერი.

უნდა აღინიშნოს, რომ 2003 წელი თურქმენეთში გამოცხადებული იყო თურქმენეთის პრეზიდენტის დედის — თურქმენეთის გმირის გურბანსოლთან-ეჯეს წლად.

# არჩევნები საბერძნეთში: მინიმალური სხვაობა

**შაბათიდან საბერძნეთში აიკრძალა წინასაარჩევნო აგიტაცია. კვირას ქვეყანაში გაიმართება პარლამენტის არჩევნები.**

მანამდე კი ათენში შედგა მასშტაბური დემონსტრაცია, რომლის ორგანიზატორები იყვნენ მმართველი სოციალისტური პარტიის წარმომადგენლები. აქციაში მონაწილეობდა პარტიის ახალი ლიდერი, ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი გეორგიოს პაპანდრეუ.

იგი ყოველმხრივ ცდილობს თუნდაც კიდევ ერთი — ოთხწლიანი ვადით შეინარჩუნოს ქვეყანაში სოციალისტთა მმართველობა, მაგრამ, როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, არის იმის ნიშნები, რომ სოციალისტებმა, შესაძლოა, დათმონ პოზიციები.

დემონსტრანტების წინაშე ხანგრძლივი სიტყვით გამოსვლისას, პაპანდრეუმ რამდენჯერმე აღნიშნა, რომ მზად არის ახალი წამოწყებებისათვის. სოციალისტები ყოველნაირად ცდილობენ დაარწმუნონ ელექტორატი იმაში, რომ ისინი ღირსი არიან კვლავ დარჩნენ ხელისუფლების სათავეში. სოციალისტები ქვეყანას მართავდნენ ბოლო 20 წლის განმავლობაში, ახლა კი მათ ადანაშაულებენ კორუფციაში, აგრეთვე იმაში, რომ არ ძალუძთ ქვეყანა გამოიყვანონ უძრაობის მდგომარეობიდან.

მაგრამ, თებერვალში, სრულიად საბერძნეთის სოციალისტურმა მოძრაობამ — პასოკმა შეიცვალა ლიდერი: პრემიერ-მინისტრ კოსტას სიმიტისის ნაცვლად, პარტიას სათავეში ჩაუდგა გეორგიოს პაპანდრეუ.

ძალთა ასეთმა გადაადგილებამ ახალი ბიძგი მისცა სოციალისტთა წინასაარჩევნო კამპანიას. წინათ გამართული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების მიხედვით, წინასაარჩევნო რბოლაში სოციალისტებს საგრძნობლად უსწრებდა ოპოზიციური კონსერვატიული პარტია. ახლა კი ეს სხვაობა მინიმუმამდე შემცირდა.



პაპანდრეუ ამომრჩევლებს ჰპირდება, რომ დაამარცხებს კორუფციას, შექმნის ეროვნული ნდობის მთავრობას, დააჩქარებს ეკონომიკის ზრდას და გააუმჯობესებს სოციალური სფეროს მუშაობას. ეს, კერძოდ, ეხება ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სისტემებს. მაგალითად, როგორც სოციალისტთა ლიდერმა თქვა, მისი პარტიის გამარჯვების შემთხვევაში, სამუშაოს მიიღებს 10 ათასი ახალი მედდა. თანაც, ეს ხარჯები ნაწილობრივ უნდა დაიფაროს თავდაცვითი ბიუჯეტის შემცირების ხარჯზე.

**უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა**

**ზაზა ბეჟანიძემ.**

**მილოცვა სამოცი წლის ნუგზარ შატაიძეს**

# დაგელოცოს ნაფიქრი და ნაკალმარი

**ჩემო ნუგო, რაკი, მე ეგრე მირჩევნია, ნუგოო, თორემ ხომ ვიცი, რომ ბევრისთვის პატივცემული მწერალი ნუგზარ შატაიძე ხარ. ბევრისთვის, უბრალოდ, ნუგზარი. ზოგი „ნუგზარმაზარსაც“ გეძახის. შინაურები კიდევა „კავკასიური ნუგზარიო“. ჩემთვინ კი ნუგო ხარ — უბრალოდ და მოხერხებულად, ნუგოო.**

ჰოდა, რაკი ეგრეა, ახლა ვჯდები წერად.

იქნებ ვიღაცამ ჩაიქილიკოს: — რა უსტარი გრაგნილები აუტყდათ: დღეში სამჯერ ხვდებიან ერთმანეთს, სამჯერვე უსირცხვილოდ „გადაიპროშტნებიან“ და თუ რაიმე უთქმელიცა რჩებათ, ჩვენ რას გვემართლებიანო, მაგრამ არც ეგრეა საქმე — ხშირად, თუნდაც სადღეგრძელოშიაც, გულისგულის გუდას ბოლომდე მაინც ვერ დაიბღერტ, — ან შენ მოგერიდება და შემაჩერებ, ან თავად გავისუსები და სწორედ ამიტომ გავიხადე საქმე საუსტაროდ.



ვზივარ ახლა ჩემს კავთისხევში და ბებერი მგელივით ავცქერი შენს ახალციხეს. აგრა, აქვე არ არის? ავიცრები და არ იკითხავ, რატომ? — შენი ქართული მომშივდა, ძმაო, შენი ბუბუნა, დინჯი, მოზომილი, საკმაზებით შეზავებული ქართული.

ახლა არ იკითხავ, რა საკმაზებია ესენი? — ხმელი ბალახის ღაღანი, ფოთლების ფხაკაფხუკი, ამოღერებული იის ფაჩუნი, მზეკაბანის ლივლივი, ნისლის ზოზინი, ნაკვერჩხლის ტკაცანი და შენი კერძების სიგემრიელე და სურნელი. ლილო-გრილოთი მოჩითული მთელი შენი შემოქმედება. სწორედ იმიტომ მომშივდები ხოლმე, დარაჯად და შემწედ რო უდგეხარ ქართულ სიტყვას, ბადაგივით ტკბილსა და გემრიელს.

ჰოდა, ახლა ავდგები, ავიაღმართებ, ავებლოტები შენს სოფელში. შენს გმირებს მივუცუცქდები და კიდევ ერთხელ დავიგემოვნებ იმათ მსუყე, ალალ ქართულს.

ვინ იქნებიან ისინი? — აჯაბაჯა უბილეთოი, გაბებღილი გუდა მგელი, აჭიაბაჭია ვირაბსია, ბეწეწინა ნოქარი, აზიზმაზიზი ყვიტიანი, ადრაგუნე დომბური და გაცრეცილი, ბაიისყვავილისფერი გოიო.

მივუცუცქდები სანახიროზე, კედლის გასწვრივ, ლოდებზე ჩამომსხდარ სოფლის ზუზუნ-კუკუნეებს, კაუჭა ჯოხებზე ნიკაპჩამოდებულებსა და ერთად გადავავლებთ თვალს შენს სამოცწლიან გზასა.

რა აღმართები გივლია, ძმაო, რა ლოდები გითრევია, რა დარდი გიტარებია, რა ტკივილებისთვინ გაგიძლია, რა ხოდაბუნები გიხნავს, რა ძნები შეგიკრავს, რა ხელეურები გიბოჭია, რა კიდობნები ამოგივსია ჭირნახულითა? ხო ბევრი მარგალიტი გაქვს გაბნეული, მაგრამ ის რამ გათქმევინა, შე მადლიანო: — „სვეტიცხოვლის ეზოში შესულს გეჩვენება, რომ სამშობლოში დაბრუნდიო“?

ახლა, რაკიღა ბოლო-ბოლო, როგორც იქნა დაგიდგინეს იმ ექიმებმა, რო შენთვის სასმელი და სიგარეტი მავნებელია, იქნება გაუფრთხილდე, ბიჭო, თავსა? ი ოხერმა ცელიანმა კაცმა, იმდენი გიძუძგურა, რამდენი გეხაფაციცა, ხო ხედავ, ვერაფერი დაგაკლო? მგონი სულაც დაგანება თავი: — „გიჟია, ე, ოხერიო“ — და ეხლა შენ თუ მოიკლავ თავსა, თორემ იმასა სულ ფეხებზედა კიდიხარ.

ჰოდა, აზირ იცოცხლო, შე დალოცვილო, აზირ იღვაწო, რო კიდევ დიდხანს ვიგემოვნოთ შენი გემრიელი შემოქმედება. დაგელოცოს ნაფიქრი და ნაკალმარი, ჯანი და ნიჭი.

ეგრე!

შენი

**ჯემალ მონიავა.**

**სურათზე:** სუფრაზე სიმღერაც უყვართ მეგობრებს — ნუგზარ შატაიძესა (მარცხნივ) და ჯემალ მონიავას.

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია უერთდება ჯემალ მონიავას მილოცვას და ყველა სიკეთეს უსურვებს ბატონ ნუგზარ შატაიძეს.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ორშაბათი
### 8 მარტი

09.00 მულტსერიალი "პაპირუსის თავგადასავალი" 09.25 მხ. ფილმი "**ვაჭიშვილის ფიცი**" 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი "**სოლედადი**" 13.00 სპექტაკლი "მგზნებარე შეყვარებული" 14.35 ქართ. სატ. ფილმი "**სამი ამბავი ტელეფონით**" 15.15 ქართ. მხ. ფილმი "**გასეირნება თბილისში**" 16.45 "არტე" წარმოგიდგენთ 17.05 დოკ. სერიალი "ჩემი საყვარელი ოჯახი" 17.20 საქართველო, დრო, მოვლენები 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "ბუნების სამყაროში" 18.30 სერიალი "**წვრილვარსკვლავთა ღამე**" მე-6ს. 19.00 მრავალჟამიერ 19.25 "იმღერე რამე" 21.05 ბასტი-ბუბუ 21.20 სერიალი "**სოლედადი**" 22.10 "ფრანგი დოკუმენტალისტების თვალით" 22.40 "სტუმრად მსახიობთა სტუდიაში" (გვინეტ პელტროუ) 00.00 მხ. ფილმი "**დიდი მანევრები**"

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტსერიალი "პაპირუსის თავგადასავალი" 19.35 კინოსეანსი "**ქალი კამელიებით**" 21.30 მოგზაურობა სასიტყვეთში 22.10 მხ. ფილმი "**თორმეტი სკამი**" მე-3ს.

07.00 დილა მშვიდობისა 08.00 "ტელელიპუტები" 09.40 სერიალი "**შურისძიება**" 11.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.10 კურიერი 12.20 "დისკავერი" 13.30 მხ. ფილმი 15.20 ბუნდეს ლიგა 16.30 სერიალი "**მაშველები**" 17.05 პერეკროსტოკი 17.30 "ტელელიპუტები" 18.20 არჩევნები-2004 18.55 "დისკავერი" 19.45 სერიალი "**შურისძიება**" 22.00 სერიალი "**ჯაშუში**" 22.50 ღამის კურიერი 23.20 მხ. ფილმი "**სახიფათო კავშირები**". მთ. რ-ში: ჯონ მალკოვიჩი, გლენ კლოუზი.

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.05 მხ. ფილმი 10.20 მხ. ფილმი 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45 ახალი ამბები 13.30 დოკ. ფილმი 18.00 დოკ. ფილმი 20.00 მხ. ფილმი 21.00 დოკ. ფილმი 22.15, 23.00 დიალოგი 23.45 მხ. ფილმი

07.00, 12.00, 13.00 ქრონიკა 07.10, 11.20, 13.15, 17.20, 01.50 იმედის მელოდიები 08.00 "იმედის"დილა 10.10 "დროება" 11.30 "ერთხელ ჰოლივუდში" 12.10 სერიალი "**კლონი**" 13.30 "ლარის მახე" 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00 ქრონიკა 14.05 სერიალი "**კლონი**" 15.15 მხ. ფილმი "**ოინბაზი**" 17.25 ანიმაციური ფილმი: "სანდოკანი, მალაიზიის ვეფხვი" 1-ლი ს. 18.05 სერიალი "**სიყვარული უდაბნოში**" 19.00, 21.00, 22.00, 01.30 ქრონიკა 19.30 სერიალი "**კლონი**" 20.30 სერიალი "**ნეშ ბრიჯისი**" 21.30 სპორტ. პროგრამა "გოლი" 22.50 მხ. ფილმი "**ცეზარი და როზალი**" 00.50 სპ. პროგრამა "გოლი სერია "ა"

09.00 დოკ. სერიალი "ექსტრემალური ამბები" 10.00 სერიალი "**მისი სულის მუსიკა**" 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 11.10 დღის კინოდარბაზი 18.30 მულტსერიალი "ცეროდენა მოჩვენებები" 19.00 სერიალი "**ველური მთვარე**" 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 21.00 მხ. ფილმი "**ყველაფერი მარტას შესახებ**" (მონიკა პოტერი) 23.00 მხ. ფილმი "**მუსა**"

12.00 ინდური მხ. ფილმი "**უზომო სიყვარული**" 15.00 მხ. ფილმი "**პატივმოყვარეობის კოცონი**" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "**პიკის საათი**" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი "**რეალობა იკბინება**" 22.30 "საქმე და ეკონომიკა"

08.00 "დილა მშიდობისა, რუსეთო" "ÐÒÐÏ ëàí åòà-ს" პროგრამა 11.15 მუსიკალური კოლაჟი 12.15 ვარსკვლავები გვამცნობენ 13.15 ექიმი გვირჩევს 14.15 მუს. პაუზა 15.00 "ვესტი" "ÐÒÐ Ï ëàí åòà-ს" პროგრამა 18.40 სერიალი "**ყავახანა**" 19.00 ეკონომისტი 20.00 ექსტრაორდინალური 21.00 "ვესტი" 21.30 ინდ. მხ. ფილმი "**შეშლილი გული**" 00.00 "ÐÒÐÏ ëàí åòà-ს" პროგრამა

07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 13.30 პროფათეული 14.10 მუსიკა 15.20 ფილმი "**მიწისქვეშა გადასასვლელი**". მთ.რ-ში კრისტოფერ ლამბე-რტიბ იზაბელ აჯანი. 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 22.35 პაპარაცი 23.00 პოპ. ად. ათეული 00.00 "ბრავო" "**როგორ მოვკლათ მეზობლის ძაღლი**". მთ.რ-ში კენეტ ბრანა, რობინ რაით-პენი. 01.40 "ღამურა" 03.00 პაუზის გარეშე

08.00 პროგრამა "**დილა**" 09.30 დღის ამბები 09.45 პროგრამა "**დილა**" 10.25 რუს. სერიალი "**დიდი შესვენება**" 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.45 დღის ამბები 11.50, 17.50, 20.15 მუსიკა 12.15 ქართ. ფილმი "**აურზაური სალხინეთში**" 13.25 მოკ. მხ. ფილმი 13.40 "ბელისიმო" 14.15 "ოლიმპი" 14.50 "მსოფლიო ფეხბურთი" 15.20 მხ. ფილმი "**მეგრე**" მე-5ს. 17.00 მხ. სერიალი "**ჰორასი და თინა**" მე-5 ს. 18.00 მულტფილმი "კონკია" 18.30 მხ. სერიალი "**პატარა აინშტაინები**" 19.00 სერიალი "**ინდიგოს მიწა**" მე-16ს. 20.00 დოკ. სერიალი "მსოფლიო კულტურის საგანძური" 22.00 სერიალი "**მოჯადოება**" 23.00 ღამის მატარებელი 01.00 მხ.ფილმი "**როგორ ჩამოვიშოროთ ბიჭი ათ დღეში**" (კეიტ ჰადსონი)

## სამშაბათი
### 9 მარტი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "პაპირუსის თავგადასავალი" 10.10 მხ. ფილმი "**დიდი მანევრები**" 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი "**სოლედადი**" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე 14.05 ლერერის შოუ 15.15 მხ. ფილმი "**მოხსენიების დღე**" 16.50 დოკ. ფილმი "ცხოველთა ბედი" 17.15 დოკ. სერიალი "ჩემი საყვარელი ოჯახი" 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "ბუნების სამყაროში" 18.30 სერიალი "**წვრილვარსკვლავთა ღამე**" 19.00 და არს მუსიკა 19.25 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.05 ბასტი-ბუბუ 21.20 სერიალი "**სოლედადი**" 22.15 ჩვენი ფეხბურთი 23.30 მხ. ფილმი "**თორმეტი სკამი**" მე-4ს.

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტსერიალი "პაპირუსის თავგადასავალი" 19.35 კინოსეანსი "**ჭია-მაიები**" 21.00 პალიტრა 21.30 ისტორიანი 22.10 მხ. ფილმი "**ლედი კაროლინა ლემი**"

07.00 დილა მშვიდობისა 08.00 "ტელელიპუტები" 09.40 სერიალი "**შურისძიება**" 11.00 სერიალი "**ჯაშუში**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.50 კურიერი 12.20 "დისკავერი" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.30 "ტელელიპუტები" 18.20 არჩევნები-2004 18.55 "დისკავერი" 19.45 სერიალი "**შურისძიება**" 22.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 22.50 ღამის კურიერი 23.45 ჩემპიონთა ლიგა. "**მანჩესტერი**"-"**პორტო**" 02.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.

08.00 ანონსი 08.05 დიალოგი 12.00 მხ. ფილმი 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45 ახალი ამბები 13.30 მიუზიკჰოლი 15.15 მხ. ფილმი 17.20 ჯაზის საღამოები (განმ.) 17.30 დოკ. ფილმი 20.00 მხ. ფილმი 22.15, 23.00 დიალოგი 23.45 მხ. ფილმი

07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00 ქრონიკა 07.15, 13.15, 15.15, 16.05, 17.20, 01.05 იმედის მელოდიები 08.00 "იმედის" დილა 10.05 სერიალი "**სიყვარული უდაბნოში**" 11.05 სპ. პროგრამა "გოლი სერია "ა" 12.10 სერიალი "**კლონი**" 13.30 "მულამები" 14.05 სერიალი "**ნეშ ბრიჯისი**" 15.00, 16.00, 17.00 ქრონიკა 15.10 მხ. ფილმი "**ცეზარი და როზალი**" 17.25 ანიმაციური ფილმი: "სანდოკანი, მალაიზიის ვეფხვი" მე-2ს. 18.00, 19.00, 21.00, 22.00, 00.50 ქრონიკა 18.05 სერიალი "**სიყვარული უდაბნოში**" 19.30 სერიალი "**კლონი**" 20.30 სერიალი "**ნეშ ბრიჯისი**" 21.30 ლარის მახე 22.50 მხ. ფილმი "**ჩეხოვის მოტივებზე**"

09.00 დოკ. სერიალი "ექსტრემალური ამბები" 10.00 სერიალი "**ველური მთვარე**" 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 11.10 დღის კინოდარბაზი 18.30 მულტსერიალი "ცეროდენა მოჩვენებები" 19.00 სერიალი "**ველური მთვარე**" 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 21.00 მხ. ფილმი "**აპაჩი**" (ბერტ ლანკასტერი) 23.00 მხ. ფილმი "**მოცეკვავე ზედა სართულიდან**" (ლაურა მორანტე)

12.00 მხ. ფილმი "**რეალობა იკბინება**" 13.30 "საქმე და ეკონომიკა" 14.30 მხ. ფილმი "**მგლის საქმო**" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "**პიკის საათი 2**" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი "**მარვინის ოთახი**" 00.30 მუსიკა

08.00 "დილა მშიდობისა, რუსეთო" "ÐÒÐÏ ëàí åòà-ს" პროგრამა 11.15 მუსიკალური კოლაჟი 12.15 სალონი 13.45 ექიმი გვირჩევს 14.45 მუს. პაუზა 15.00 "ვესტი" "ÐÒÐÏ ëàí åòà-ს" პროგრამა 18.00 მუს. პაუზა 18.45 სპორტის სამყარო 19.45 მუს. პაუზა 20.00 პოლიტიკა, პოლიტიკა 21.00 "ვესტი" 21.30 სალონი 23.00 მხ. ფილმი "**მოჩვენებითი ბედნიერება**" 23.45 სერიალი "**ყავახანა**" 00.00 "ÐÒÐÏ ëàí åòà-ს" პროგრამა

07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 13.30 მუსათეული 14.10 მუსიკა 15.20 ფილმი "**როგორ მოვიქცეთ**". მთ.რ-ში მენდი მური, ელისონ ჯინეიტი. 17.00, 19.15, 22.35 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 23.00 პოპ. ად. ათეული 00.00 "ბრავო" "**ადამიანი, რომელიც ხდება**" მთ. რ-ში რობერტ ჯონბერგი. 01.40 "ღამურა" 03.00 პაუზის გარეშე

08.00 პროგრამა "**დილა**" 09.30 დღის ამბები 09.45 პროგრამა "**დილა**" 10.15, 11.50, 13.45, 17.50 მუსიკა 10.30 სერიალი "**მოჯადოება**" 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.45 დღის ამბები 12.00 მხ. ფილმი "**როგორ ჩამოვიშოროთ ბიჭი ათ დღეში**" 14.00 მულტფილმი "კონკია" 14.50 დოკ. სერიალი "მსოფლიო კულტურის საგანძური" 15.10 მხ. სერიალი "**პატარა აინშტაინები**" 15.35 სერიალი "**ინდიგოს მიწა**" 16.35 დოკ. ფილმი "კუდიანი ამბები" 1-ლი ს. 17.00 მხ. სერიალი "**ჰორასი და თინა**" 18.00 მულტფილმი "კონკია" 18.30 მხ. სერიალი "**პატარა აინშტაინები**" 19.00 სერიალი "**ლუდის ბატონები**" 1-ლი ს. 20.00 "ევროპის სტადიონებზე" 22.00 სერიალი "**მოჯადოება**" 23.00 "ცხელი ცხრიანი" 23.50 სერიალი "**ჰენრი ჯეიმსი - ახალგაზრდა მეამბოხე**" მე-3ს. 01.00 მხ. ფილმი "**ქეითი და ლეო**".

## ოთხშაბათი
### 10 მარტი

